# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

№ 92 (5693)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და [illegible] განა ცოდვა [illegible] [illegible].


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი


## კოკოითი თათბირობს, მინძაევი ისვრის

რაში უნდა მოეძებნა გამოსავალი კოკოით-ჩოჩიევ-მინძაევის ტრიოს? რა თქმა უნდა, შანტაჟსა და პროვოკაციაში. ერთი მუდმივი შაბლონი აქვთ სეპარატისტებს: ცეცხლს დაუშენენ ქართულ პოზიციებს, თან განგაშს ტეხენ: „არიქა, ქართველები თავს დაგვესხნენო"

3

## როდის დააორსულა პაატა შამუგიამ ასმათი?

პაატა შამუგიას დემარშზე ძალაუნებურად იფიქრებს: „Каждий рассуждает, по мере своей испорченности".

# პრეზიდენტმა შეწყვიტოს ავლაბარში რეზიდენციის მშენებლობა და ხალხს მიხედოს!



2

კოკა ვაშაკიძის ფოტო.

## ჩვენთან „Second hand" უქმდებაო?!

საწყენი ის იქნება, „მეორადები" მართლა რომ აკრძალონ საქართველოში, რადგან იგი დღეს უამრავი ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება „პირველადებს", ყველამ ვიცით, რომ მისი ხარისხიც და ფასებიც მხოლოდ და მხოლოდ ამა ქვეყნის პირველებისთვისაა მისაღები და სასურველი

4

## სანამ გამოცდები დაიწყება

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები კვლავ რჩება სტუდენტებისთვის ყველაზე პრიორიტეტულად, თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო სექტორში შეტანილ განცხადებათა რაოდენობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს სინამდვილეში კერძო უმაღლესი სასწავლებლები ფეხს მტკიცედ იკიდებენ

7



5

## ხელგაშლილი მთავრობა და ხელგაწვდილი მოსახლეობა

არა მგონია მთავრობას სირცხვილის გრძნობა აწუხებდეს. ასე რომ იყოს, ხელისუფლებაში მოსვლის წინ პედაგოგებისა და პენსიონერებისთვის მიცემულ პირობას შეასრულებდა — საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა და წყლისა და ხმელა პურის ამარა არ დატოვებდა

## ნეტავ მეორე ედემინს მიაგნეს?

11

# საქველმოქმედო

აქციებმა ჯერჯერობით არანაირი შედეგი არ გამოიღო. ხელისუფლება ყოველდღიურად მაინც ზრდის გადასახადებს. გაერთიანებული ოპოზიცია აქციებზე რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანასა და ხელმოწერების შეგროვებას აპირებს...



**◎ კანონმდებლები**

2008 წლის 1 იანვრიდან პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების წესი იცვლება — ის პარტიებიც კი, რომლებიც 2004 წლის პარლამენტში ვერ მოხვდნენ, ბიუჯეტიდან თანხებს მაინც მიიღებენ. ცვლილებების შეტანა „პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" „საარჩევნო კოდექსისა" და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონებშია ინიცირებული. მაგალითად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, დეპუტატობის კანდიდატებმა ერთი კვირის ვადაში უნდა შეავსონ დეკლარაციები. ამ ცვლილების არსი ისაა, რომ რადგან არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ხდება კანდიდატთა რეგისტრაცია, წინასწარვე იცოდნენ, ვინ და რა ქონების პატრონი აპირებს კენჭისყრას ანუ, კანდიდატის ქონებრივი შესაძლებლობები წინასაარჩევნო კამპანიაშივე გახდება ცნობილი.

# შემოწირულობა ანონიმური ვერ იქნება

## კონსერვატორებსა და რესპუბლიკელებს ნაციონალები ფულს არ გაუყოფენ

ცვლილებები და დამატებები შედის მოქმედ კანონში პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, რის მიხედვითაც, უქმდება ანონიმური შემოწირულობების უფლება. იკრძალება სხვისი სახელით შემოწირულობების გაცემა. ამას გარდა, ამიერიდან შემოწირულობები მიიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით; ნაღდი ანგარიშსწორებით შემოწირულობა შეიძლება ერთჯერადად წლის განმავლობაში მხოლოდ სამასი ლარის



ოდენობით. უნაღდო ანგარიშსწორებით შემოწირულობების დასაშვები მაქსიმუმი წლის განმავლობაში 30 000 ლარია, თუკი აქამდე, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, მხოლოდ „საპარლამენტო" პარტიები ფინანსდებოდა, ამიერიდან სახელმწიფო პარლამენტსმიღმა დარჩენილ პარტიებსაც დააფინანსებს. დადგინდა დაფინანსების ბარიერი: საპარლამენტო არჩევნებისთვის — ოთხი პროცენტი, ადგილობრივისთვის — 3. თუკი ერთი პარტია ამ ორივე ბარიერს დაძლევს, ასეთ შემთხვევაში პარტიის გადასაწყვეტია, რომელი არჩევნების შედეგიდან მიიღებს დაფინანსებას, მან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს.

პოლიტიკური პარტიისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხა ოთხი კომპონენტისგან შედგება და პარტიის ჯამური დაფინანსება სწორედ ამ ოთხი კომპონენტის ნაკრებიდან გამოითვლება. **პირველ კომპონენტს** უწოდებენ საბაზისო დაფინანსებას. ის დგინდება კანონით. ყველა პარტიისთვის, რომელიც ოთხ და სამპროცენტიან ბარიერს გადალახავს, დაფინანსება თანაბარია და 150 000 ლარით განისაზღვრება.

**მეორე კომპონენტი** მიიღება ამა თუ იმ პარტიის მიერ პარლამენტში პარტიული სიით გაყვანილი დეპუტატების რაოდენობის ნამრავლით თითოეული დეპუტატისთვის გამოყოფილ თანხაზე — 200 ლარზე. მაგრამ, თუკი ამა თუ იმ პარტიის მიერ გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა 50-ზე ნაკლებია, მაშინ ეს პარტია თითოეულ დეპუტატზე 600 ლარს მიიღებს.

**მესამე კომპონენტით** დგინდება არჩევნებისას მიღებული ხმების მიხედვით დაფინანსების ოდენობა. ფორმულა ასეთია: ლარ-ნახევარი თითოეული ამომრჩევლის ხმაზე, ანუ თუ პარტიამ 100 000 ხმა მიიღო, 150 000 ლარით დაფინანსდება.

პარტიული დაფინანსების **მეოთხე კომპონენტი** კი ეხება იმ პარტიებს, რომლებმაც 200 000-ზე მეტი ხმა მიიღეს. ანუ ეს არის გამარჯვებული პარტიის კომპონენტი. ასეთი პარტია თითოეულ ხმაზე დამატებით ლარს მიიღებს. ესე იგი, თუკი რომელიმე პარტიამ 200 000 ხმა დააგროვა და გაიმარჯვა: მესამე კომპონენტის მიხედვით, ის მიიღებს ლარ-ნახევარს თითოეულ ხმაზე, ანუ 300 000 ლარს და მეოთხე კომპონენტით დამატებით ლარს თითოეულ ხმაზე.

ამ ცვლილებებით აზრი ეძლევა არჩევნებში მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გასვლას, რადგან პარტია, რომელიც ვერ გადალახავს საარჩევნო ბარიერს, მაინც მიიღებს საბაზისო დაფინანსებას — 150 000 ლარს, რაც მას პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების საშუალებას მისცემს. ამიტომაც ეს ნაბიჯი ძალიან პროგრესულია საქართველოში პარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

შემოთავაზებული პროექტის მიხედვით, ბლოკში შემავალ პარტიებს შორის თანხის თანაბრად განაწილება არ ვრცელდება იმ პოლიტიკურ გაერთიანებებზე, რომლებიც 2008 წლის პირველ იანვრამდე შეიქმნა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსერვატორებს და რესპუბლიკელებს, რომლებიც ადრე ნაციონალური მოძრაობის ბლოკში შედიოდნენ, ნაციონალური მოძრაობა იმ 150 000-ლარიან საბაზისო დაფინანსებას არ გაუყოფს. თუკი პოლიტიკური ბლოკები 2008 წლის არჩევნებისთვის შეიქმნებიან, მათ უკვე ეცოდინებათ, რომ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში საბაზისო დაფინანსება ბლოკში შემავალ პარტიებს შორის თანაბრად განაწილდება.

ოპოზიცია მოითხოვდა, რომ ეს ცვლილებები ახლავე ამოქმედებულიყო, მაგრამ გადაწყდა, რომ პარტიები ახალი წესით დაფინანსებას 2008 წლის 1 იანვრიდან მიიღებენ.

**მზია გელენავა**



**◎ კიდევ ერთი აქცია**

# პრეზიდენტმა შეწყვიტოს ავლაბარში რეზიდენციის მშენებლობა და ხალხს მიხედოს!

**გუშინ პარლამენტის წინ აქცია გამართეს არასამთავრობო ორგანიზაციამ „ჩვენი უფლებებისთვის", „ხალხის პარტიამ" და პარტია „თავისუფლებამ". მოთხოვნები — ხალხისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება, ანაბრების დაბრუნება და ა. შ.**

შეკრებილნი იყვნენ ლტოლვილები, პენსიონერები, ომის ვეტერანები, შვილმკვდარი დედები, რომელთა შვილებიც მათი თქმით, ამ ხელისუფლებამ იმსხვერპლა. ჩვენთან საუბარში ვეტერანებმა დიდი გულისტკივილი გამოთქვეს გაუქმებული შეღავათების გამო და თქვეს, მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი თითებზე ჩამოსათვლელნი დავრჩით და ზიზილ-პიპილოებზე გადაყრილი უზარმაზარი თანხების მცირედი ნაწილი ჩვენთვის რომ მოეხმარათ, ვითომ ღმერთი უწყენდათო? აქციებზე კი იმიტომ დადიან, რომ რაკი სამშობლოში აღარავის იმედი არა აქვთ, ეგებ უცხოეთის ყურადღება მივიპყროთ და ისინი დაგვეხმარონო.

**ლია ირემაძე, პენსიონერი:** „აქციაზე მოსვლით ვიცავ ჩემს უფლებებს. გაძვირდა [illegible], ტრანსპორტი, წყალი... ამ აქციების იმედი მაქვს. ხელისუფლებამ, სწორედ ასეთი აქციებით გადააყენა შევარდნაძის ხელისუფლება. მინდა პრეზიდენტს ვუთხრა, რომ შეწყვიტოს ავლაბარში რეზიდენციის მშენებლობა და გაჭირვებულ ხალხს მოგვხედოს".

აქციებმა ჯერჯერობით არანაირი შედეგი არ გამოიღო. ხელისუფლება ყოველდღიურად მაინც ზრდის გადასახადებს. გაერთიანებული ოპოზიცია აქციებზე რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანასა და ხელმოწერების შეგროვებას აპირებს...

**მირანდა ფორჩხიძე,**
**მაია კილასონია**

**◎ კრიმინალი**

# რა კავშირია ჩანქსელიანისა და მამაცაშვილის მკვლელობებს შორის?

**თბილისის 43-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის მომხდარი ინციდენტის დროს მოკლული ნიკოლოზ ჩანქსელიანის დედა სალომე მამაცაშვილის მკვლელობით დაინტერესებულ ოჯახს ასახელებს.**

ჩანქსელიანის ოჯახის ვერსიით, 14 წლის სალომეს მკვლელობით მხოლოდ მათი შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბაჩო სირაძის ახლობლები იყვნენ დაინტერესებული.

— სალომე შეესწრო ჩემი შვილის მკვლელობას. მან რაღაცეები იცოდა და აპირებდა ჩვენს ოჯახში ამოსვლას და ყველაფრის მოყოლას. დარწმუნებული ვარ, ამიტომაც მოკლეს. მისი მოკვლა კი მხოლოდ სირაძეებს აწყობდათ, — აცხადებს ჩანქსელიანის დედა.

ამ ინფორმაციის შესახებ პოლიცია კომენტარს არ აკეთებს, ამიტომ უცნობია ამუშავებენ თუ არა სამართალდამცავები ასეთ ვერსიას.

**ინტერპრესნიუსი**

**◎ ოფიციალური მიღება**

# ჟურნალისტებისთვის ნებისმიერი ინფორმაცია გამჭვირვალე იქნება?

## საქართველოში სასამართლოს დღე აღინიშნა

**15 მაისს** საქართველოში სასამართლოს დღე აღინიშნა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა საგანგებოდ, საზეიმო ვითარებაში მიიღო მედიის წარმომადგენლები. მისი განცხადებით, მოსამართლის დღე საქართველოში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს. მოსამართლეობა უმაღლესი პასუხისმგებლობაა, ყველაზე დიდი სტატუსი და თანამდებობაა ნებისმიერ ქვეყანაში და საქართველოშიც ასე უნდა იყოსო.

მან სასამართლოს დღე მიულოცა კოლეგებს, რომლებიც მისი თქმით, „ჯერ კიდევ მძიმე პირობებში კვალიფიციურად, თავდადებით ემსახურებიან საკუთარ საქმეს, იღებენ „გადაწყვეტილებებს, მართლმსაჯულებას ახორციელებენ".

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ეს დღე განსაკუთრებით ჟურნალისტებს მიულოცა, რადგან ყველაფერი ის, რაც სასამართლო სისტემაში ხდება, თუნდაც რეფორმა, სწორედ ჟურნალისტმა უნდა გააშუქოს ობიექტურად. *„ჟურნალისტმა მხოლოდ ერთ ან ორ პროცესზე დაყრდნობით კი არ უნდა შეაფასოს სასამართლო სისტემა, რაც ხშირად ხდება, არამედ მთლიანად სასამართლო სისტემაში მომხდარი გააანალიზოს*




*და, ობიექტური ინფორმაციის მიღების შედეგად, გამოიტანოს დასკვნები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა თუ სხვა პრობლემების თაობაზე"...*

კონსტანტინე კუბლაშვილი ჟურნალისტებს დაპირდა, რომ მათთან თანამშრომლობის მიზნით, ღია კარის დღეები გაიმართება, მათთვის ნებისმიერი ინფორმაცია გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი იქნება.

გუშინვე, სასამართლოს დღის გამო, კონსტანტინე კუბლაშვილმა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზაში" ოფიციალური მიღება გამართა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატების, საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის წევრთა, მოსამართლეთა კორპუსისა და მედიის საპატივსაცემოდ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებთან ერთად საზეიმოდ გახსნა სასამართლოს დღისადმი მიძღვნილი პლაკატების გამოფენა.

მისი მიზანია, თანამედროვე ხელოვნების მეშვეობით ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების, სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების მიმართ. გამარჯვებული პლაკატების ავტორები დაჯილდოვდნენ.

უნდა ითქვას, რომ სასამართლოს დღის აღნიშვნა უკავშირდება 1999 წლის 15 მაისს თბილისში საოლქო სასამართლოს გახსნას. სწორედ მაშინ გამოითქვა აზრი, რომ 15 მაისი სასამართლოს დღედ გამოცხადებულიყო, რაც შემდეგ მოსამართლეთა ასოციაციამ დაადგინა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

# ჭირ-ბოროტი

რად უნდა ამას ლარი და ხაზი, რომ ცხინვალის დროებითი, ადმინისტრაციული ერთეულის შექმნამ და მის ხელმძღვანელად დიმიტრი სანაკოევის და-ნიშვნამ საგონებელში ჩააგდო სეპარატისტები



ენას ძვალი არ აქვს

# როდის დაორსულდა პაატა შამუგიამ ასმათი?

**„ცხოვრება უკეთესი, უფრო მხიარული გახდა“ — საბჭოთა ადამიანების გამამხნევებელი ეს ლოზუნგი 1937 წელს (!) იშვა.**

რაც უნდა დააბრალონ, სტალინს იუმორის ნაკლებობას ვერ დააბრალებენ.

ჰოდა, ზუსტად „მოარგო“ კიდეც — ინკვიზიციის აპოგეის ხანაში ცხოვრება არა მხოლოდ უკეთესი, არამედ, რაც მთავარია, უფრო მხიარული გახდაო.

ჯერ ერთი: „უფრო მხიარული“ ნიშნავს, აქამდეც ხომ იყო და იყო, ახლა სულ გული უნდა ამოვიგდოთ ხორხოცითო...

მეორეც: მაშინ ზემოდან, უმაღლესი დონიდან მიღებული ინსტრუქცია, კატეგორიულად სავალდებულო იყო ყველასთვის, ემხიარულებოდათ თუ არა.

ახლა, რატომ გავიხსენე ეს ძველი (მაგრამ არა დავიწყებული) ლოზუნგი!

მოგეხსენებათ, დღევანდელი ყოფაც, 37-იანი წლების მსგავსად, „უკეთესი და უფრო მხიარულია“.

და რაკიღა საყოველთაო ხალისი და ლაღობა ყოფის ნორმად იქცა, ნათლად გამოჩნდა, რომ აღარ შეიძლება პირქუში წარსულით ცხოვრება. ჩვენი რევოლუციურ-მაძიებელი ახალგაზრდობა თამამად ანგრევს დრომოჭმულ, დახავსებულ-დამყაყებულ სტერეოტიპებს და მავნე გადმონაშთებს.

ოკეანედალეულმა, უცხოეთში განსწავლულმა და ამდენად, ბუნებრივია, „სამამულო“ გოიმებზე უფრო გონებაგახსნილმა, გულის შემაღონებელი ტრადიციების კლანჭებიდან დახსნილმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა თამამად შეუტიეს ერის ნიშანსვეტებს.

მძლავრ, იმედისმომცემ ტენდენციად აქციეს მართლმადიდებლობის, კონკრეტულად, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა; მათ თვალი აუხილეს დაბრმავებულ, გამოთაყვანებულ საზოგადოებას, რომ „ქართვლის დედას“ ხელში ხმალი და თასი კი არ უჭირავს და მტრის მტრულად და მოყვრის მოყვრულად დახვედრას კი არ მოგვიწოდებს, არამედ — ფალოსი და საშო უპყრია და მომრავლებულ ცისფერ, ნაზ ვაჟებსა და ვარდისფერ, ძლიერ გოგონებს ახალი, ერთსქესიანი მომავლისკენ მიუძღვის; რომ შვიდმნათობიერი წმინდა მეფეთ მეფე თამარი თურმე ერთი რიგითზე რიგითი დედაკაცი ყოფილა და...

კი, ქალი იყო, მაგრამ დედაშენიც ხომ ქალია? მაშ აფათურებინე ხელები დედის სარეცელში ყველა ძაღლს და მამაძაღლს: ოღონდ, თუ დედაშე-



ნი მხოლოდ დედაშენია, წმინდა თამარი სრულიად ქართველთა და საქართველოს დედაა!..

ახლა „ვეფხისტყაოსნის“ ჯერი დადგა.

ჯერ იყო და ერთმა ფრიად და ფრიად პატივსაცემმა და ერთობ ალმატებულმა ხელოვანმა უკბინა, ვერ გამიგია ვინ არის ეს ხალხი (ტარიელი, ავთანდილი და ა.შ.) და რა უნდაო, ყოვლად უმიზეზოდ ხოცავენ ლომებს, ტირიან, სადღაც გარბიანო... მაგრამ ეს იმ ხელოვანის არაქართული აღზრდის ბრალი მგონია და ღმერთმა შეუნდოს, რომ მთავარი დაავიწყდა: „ვეფხისტყაოსანი“, თამარზე ზემორე ნათქვამისა არ იყოს, ქართველისთვის ჩვეულებრივი წიგნი არ არის, ლამის მეორე სახარებაა და თუ რამ სიბეცის გამო ვერ გაიგე, სხვას კითხე და ისე გამოთქვი შენი აზრი, მით უფრო — საჯაროდ. ისე, მთელი ერი რომ რვა საუკუნეა ამ წიგნს ეთაყვანება, ტვინი თუ მთლად გადაბრუნებული არ გაქვს, კი უნდა დაფიქრდე, რომ, ალბათ, ისე არ არის საქმე, როგორც გგონია და ჰაიჰარად ნუ გამოფენ შენს უღლეურ აზრებსა და შეხედულებებს.

ახლა უფრო სხვა კუთხით, არსებითად შეუბერეს რუსთაველს: გვატყუებს, მოვლენების დამახინჯებულ, გაყალბებულ განვითარებას იძლევა, რომელიც რეალურ ცხოვრებას ისეა დაშორებული, როგორც ცა და დედამიწაო.

ეს ყოველივე ახალგაზრდა პოეტმა პაატა შამუგიამ გააცხადა იმ დღეს „რუსთავი-2“-ის დილის პროგრამაში.

ყური დავუგდე (ნამდვილად ვერ ნავუყრუებდი): აი, ველად გაჭრილი ტარიელი რომ გამოქვაბულში ცხოვრობს ასმათთან ერთად, მათ შორის სულაც არ არის ისეთი უმწიკვლო ურთიერთობა, როგორსაც ავტორი გვიხატავსო, ანუ ეს აშვებული ბუღასავით ტარიელი ვითომ ხელუხლებლად დატოვებდა მშვენიერ ასმათს ან თვითონ მშვენიერი ასმათი არ შეუგორდებოდა ტარიელს ვეფხის ტყავის ქვეშო?

თავისი დასკვნები პაატა შამუგიამ უფრო განავრცო, ასმათი უთუოდ ორსულად იყო ტარიელისგან, ამას წყალი არ გაუვაო. თავისი მიგნებები ჭაბუკ პოეტს ლექსად აუკინძავს და მისთვის „ანტიტყაოსანი“ დაურქმევია, რომელიც თურმე დღედღეზე დაიდება წიგნის მაღაზიის თაროებზე (თუ უკვე არ დაიდო და წყვეტა არ არის ბიბლიოფილებში მის შესაძენად).

პირადად მე ამ სახელწოდებაზე სათქმელი არაფერი მაქვს, გინდა „ანტიტყოსანი“ დაარქვას და გინდ „ანტიდიურინგი“, აქ ასმათის გაბახებასა და, მით უფრო, ორსულობაზე მაქვს გართულება.

პოემაში (რუსთველის პოემაზე ვამბობ) მოქმედება, ფაქტობრივად, ტარიელისა და ავთანდილის შეყრის დროიდან, ანუ ტარიელისა და ასმათის ინდოეთით გადახვეწიდან 10 წლის შემდეგ მიმდინარეობს („ან ათია წელიწადი, ინდოეთით რა წასულან...“).

როდის დაორსულდა ასმათი?

დავითვალოთ: 2 წელი ტარიელი, ნესტანის დაქალ ასმათთან ერთად, დაკარგულ მიჯნურს უგეგმოდ და უსისტემოდ ეძებდა, 1 წელი ფრიდონს სტუმრობდნენ, ბოლო 6-7 წელი უკაცრიელ ადგილას, ქვაბში იყვნენ შეხიზნული.

უფრო სავარაუდოა, რომ დაორსულება უკანასკნელ, „ქვაბის პერიოდში“ მოხდა, ოღონდ თუ მოხდებოდა, მალევე,იქ შესახლების პირველ 2-3 წელიწადში მოხდებოდა, როგორც მოვლენათა ლოგიკური განვითარების გარდაუვალი შედეგი — თუ შამუგიას მსჯელობას მივყვებით, მეტს, უბრალოდ ვერ მოითმენდნენ. მაგრამ მაშინ ავთანდილს იმ ქვაბში კაი სასკოლოდ შეღერებული გოგობიჭიც უნდა დახვედროდა, რადგან მაშინაც და დღესაც ქალის ფეხმძიმობა 9 თვე გრძელდება და განვლილ პერიოდში ასმათს ტარიელისთვის, ამ უკანასკნელს უნდოდა თუ არა, მემკვიდრე (მემკვიდრეები) უნდა ეჩუქებინა.

მაგრამ, როგორც გვახსოვს, ავთანდილს ქვაბში მხოლოდ მტირალი ტარიელი და თანამტირალი ასმათი დახვდნენ, რომელსაც ორსულობისა არაფერი ეტყობოდა.

ხოლო იმის შესახებ, რომ ასმათი არათუ ორსული არ ყოფილა, არამედ თავგანწირულად ქალწული იყო, ხოლო ტარიელი ხვანჯარს მხოლოდ ტუალეტში მოიშილიფებდა ხოლმე, რუსთველი, რომელიც უმადური შთამომავლებისგან ასეთ მზაკრულ თავდასხმას უთუოდ ელოდა, ერთი ფრაზით მიგვანიშნებს: როდესაც ხეზე ასული ავთანდილი მათი საცხოვრებელი ქვაბის მისადგომებს ზვერავს, საიდანაც ეს-ესაა ასმათი გამოვიდა (სავარაუდოდ, ქინძის და ნიახურის დასაკრეფად), მას შიგნიდან (ქვაბიდან) მამაკაცის (ტარიელის) ხმა ესმის: „დაო, ასმათ!“

დამეთანხმებით, სადღაც დაკარგულში, ხილულ თვალსაწიერში ადამიანი რომ არ ჭაჭანებს, თავმოყვარე კაცი თავისგან დაორსულებულ ქალს, არამც და არამც, „დაოს“ არ დაუძახებდა.

ისე რომ, პაატა შამუგიას ამ დემარშზე ძალაუნებურად იფიქრებს. „Каждий рассуждает, по мире своей испорченности“.

ისე, მონდომებულ ჭაბუკ პოეტს შევახსენებ, რომ გასულ საუკუნეში ერთმა რუსმა მკვლევარმაც სცადა ეჭვის გამოთქმა ტარიელისა და ასმათის უცოდველობაზე, მაგრამ მას უმალ ჩააგდებინეს ენა.

ახლა კი, რაკიღა არც ენის ჩამგდები ჩანს და ქალაღდსაც ყველაფრის ატანა შეუძლია, წერეთ, ივარჯიშეთ, ნუ დაინდობთ ნურავის და ნურაფერს, საქართველო ხომ თქვენით, 2003 წლიდან იწყება!

**ალეკო ასლანიშვილი**



კონფლიქტის ზონა

# კოკოითი თათბირობს, მინძაევი ისვრის

**რად უნდა ამას ლარი და ხაზი, რომ ცხინვალის დროებითი, ადმინისტრაციული ერთეულის შექმნამ და მის ხელმძღვანელად დიმიტრი სანაკოევის დანიშვნამ საგონებელში ჩააგდო სეპარატისტები. შუაღამისას მოწვეულმა „მთავრობის“ თათბირმა, მეორე დილით კი ოსების მიერ გათხრილი სანგრებისა და ბლოკ-პოსტების პირადად „პრეზიდენტის“ მიერ ინსპექტირებამ, „საზღვრების“ ჩაკეტვამ აალელვა დიდი და პატარა ლიახვის ხეობის როგორც ქართული, ასევე ოსური მოსახლეობა.**

რაში უნდა მოეძებნა გამოსავალი კოკოით-ჩოჩიევ-მინძაევის ტრიოს? რა თქმა უნდა, შანტაჟსა და პროვოკაციაში. ერთი მუდმივი, გახუნებულ-გაცვეთილი შაბლონი აქვთ სეპარატისტებს: ცეცხლს დაუშენენ ქართულ პოზიციებს, თან განგაშს ტეხენ: „არიქა, ქართველები თავს დაგვესხნენ, ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას ახდენენ და გვიშველეთო“. მოვლენ უცხოელი დამკვირვებლები, გულდასმით დაათვალიერებენ ორივე მხარის კონტროლირებად ტერიტორიებს, ხშირად გზადაგზა სეპარატისტების მიერ გადამალულ იარაღსაც აღმოაჩენენ (როგორც ამ დღეებში ავნევთან მოხდა) და ასკვნიან: ცეცხლი ცხინვალის ხელისუფლების მიერაა



გახსნილი. ასე მოხდა გასულ შაბათსაც: ღამით, მოულოდნელად სეპარატისტებმა სროლა აუტეხეს ქართულ საგუშაგოებს, შემდეგ ესეც არ იკმარეს და ნაღმტყორცნები დაუშინეს ნიქოზსა და ერგნეთს. მინძაევი კი ამ დროს სატელევიზიო ეთერში თავისას უბერავდა: ქართველები თავს დაგვესხნენ და გვიშველეთო.

სიცრუესთან და შანტაჟთან ერთად მოსკოვის ტელევიზია ცხინვალელი სეპარატისტების მთავარი მოკავშირეა. ცხინვალში მომუშავე უცხოელი დამკვირვებლების მოკავშირე კი სიმართლე და ფაქტებია. მორიტორინგის ჯგუფმა მეორე დღესვე ის ადგილები დაათვალიერა, სადაც წინა ღამით სროლები მიმდინარეობდა და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიების გარდა ნაღმტყორცნის ყუმბარაც აღმოაჩინა, რომელმაც ნიქოზელი ვასილ ჯავახიშვილის ეზოკარმიდამო დაანგრია. ეს უკვე სერიოზული პროვოკაციაა. ყველაფერმა ამან მონიტორინგის ჯგუფის დოკუმენტებში მოიყარა თავი.

სროლის დროს არცთუ მსუბუქად დაიჭრა 23 წლის სამართალდამცავი სპეცდანიშნულების რაზმელი უშანგ ქართველიშვილი. იგი ჯერ გორის, შემდეგ კი თბილისის ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**საწყენი ის იქნება, „მეორადები“ მართლა რომ აკრძალონ საქართველოში, რადგან იგი დღეს უამრავი ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება „პირველადებს“, ყველამ ვიცით, რომ მისი ხარისხიც და ფასებიც მხოლოდ და მხოლოდ ამა ქვეყნის პირველებისთვისაა მისაღები და სასურველი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ როცა გაჭირვება „გვპრანჭავს“

# ჩვენთან „Second hand“ უქმდებაო?!

## ანუ 100-დოლარიანი ჰალსტუხი – 2 ლარად!..

*„ევროპული ტანსაცმელი იაფად. ჩამოდი და ჩაიცვი“, ევროპული ტანსაცმელი 50 პროცენტის ფასდაკლებით“, „ყველაფერი ერთ ლარად“, – ასეთ წარწერებს ბევრგან დაინახავთ ქუჩებში. ქართველიც რისი ქართველია, უცხოურით არ მოიხიბლოს! თუმცა, ეს ის დასავლური საქონელია, შემდეგი სინონიმებით რომ ვიცნობთ: „სექენდ ჰენდ“, „მეორადები“, „ჭინჭები“, „ნახმარები“...*

*აღმოჩნდა, რომ ამ საქონელს ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს საქართველოში.*

*თამარ მეფის გამზირზე, მიწისქვეშა გადასასვლელში, მართლაც რომ, ევროპული გარდერობების სამყაროა უამრავი სამარკეტო ქსელით. მხოლოდ ფასებია ქართული: ლარი, ორი ლარი, სამი ლარი, სულ მაღალი – ხუთი ლარი. რას არ ნახავთ: საოჯახო ნივთებს, ქვეშაგებს, თეთრეულს, საცვლებს, ფეხსაცმელებს, ტანსაცმელებს, ქუდებს, ქოლგებს, ჩანთებს, სათამაშოებს, საქორწილო კაბებსაც კი...*

*გამყიდველები ერთხმად ადასტურებენ, რომ მეორადი საქონელი ჩვენი სოციალური ყოფისთვის ზედგამოჭრილი საარსებო საშუალებაა.*

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ, აქ იმდენი ხალხი დადის, – მიყვება ერთ-ერთი.

**– მაშ, რატომ არის ასეთი სიხალვათე?**

– ჩვენი კლიენტები ძირითადად ბაზარში მომუშავე ხალხია, ისინი კი გვიანობამდე ვერ იცლიან. ეს ადგილი ბევრმაც არ იცის. ამ მიწისქვეშა გასასვლელში წლების განმავლობაში წყალი იდგა, სიბინძურისგან ყარდა, ადამიანი ვერ გაივლიდა. ლოთები და მეძავები თუ ჩამოვიდოდნენ ხოლმე, აქ თურმე ქალიც მოუკლავთ. იგივე ჰგონიათ დღესაც. თქვენც ხედავთ, რომ საშიში არაფერია. უამრავი მაღაზიაა, ყველგან განათება და, რაც მთავარია, დაცვის თანამშრომლები არიან. ახალი გახსნილია, ზაფხულიდან უკეთესი ვაჭრობა გვექნება, მომხმარებელიც თანდათან შემოგვეჩვევა.

**– რატომ ღირს ყველაფერი ლარი?**

– ჩვენ საქონელს ვყიდულობთ ფუთებით, დაახლოებით 16-20 ლარად. რაც საქონელი გაიყიდა, მოგება ნახა. რასაც გავყიდით, უკვე მოგების მოგებაა.

**– გამოდის, რომ ეს ბიზნესი წაგებას არ ტოვებს?**

– არა, მე გამყიდველი ვარ და ყოველდღე 5 ლარს მიხდიან, ფართიც დაქირავებული აქვთ. დღეში 20-25 ლარის საქონელს ვყიდი. მე თვითონ ვაპირებ საკუთარი ბიზნესის გახსნას.

**– რამდენად უტყუარია, არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, თითქოს „მეორადები“ აღარ შემოვაო...**

– არაფერი ვიცი, თუმცა, იმდენი საქონელია შემოსული, კაიხანს გვეყოფა.

მეტად პესიმისტურად იყო განწყობილი სხვა „სექენდ ჰენდის“ გამყიდველი:

– ცუდად იყიდება, ადრინდელთან შედარებით. თავიდან რომ გავხსენით, კარგი ვაჭრობა გვქონდა.

**– ახლა რა მოხდა?**

– ჩვენი მომხმარებელია ულარიბესი ფენა, რომელიც უკიდურეს მდგომარეობამდეა მისული. აღარა აქვს იმდენი, რომ ის გროშებიც ტანსაცმელში გადაიხადოს. მძიმე დროა, ყველაფერი ძვირდება, შემოსავალი იგივეა, ტანსაცმლისთვის ვის სცალია? აგერ ორ ლარად ვყიდი საუცხოო 100-დოლარიან ჰალსტუხებს. არ იყიდება. ჩემს კლიენტებს ვის რაში სჭირდება ჰალსტუხი? გუშინ ორი ლარი ვივაჭრე მხოლოდ...

**– რატომ არ იხურებით?**

– ვფიქრობთ, რომ დავკეტოთ. თუ წერეთელზე მეორადები დაიკეტება, ესე იგი ცუდადაა საქმე, ჩვენც უნდა შევწყვიტოთ.

**– წერეთელზე რა ხდება?**

– იქ ბევრია „მეორადები“, იმათ ჩვენზე გაცილებით კარგი ვაჭრობა აქვთ ყოველთვის.

**– არა უშავს. მაინც ამბობენ, „მეორადები“ გაქრებაო?**

– მეც გავიგე, სხვათა შორის, სერიოზულ დონეზე. ევროკავშირში რომ გინდა შესვლა, არა ხარ განვითარებადი ქვეყანა და არც მეორადი საქონელი შემოიტანოო. ასე თქვეს, შეიძლება თვითონ გახსნას პუნქტები და თავისივე მოქალაქეებიდან ჩაიბაროსო. ეს მთლად ჭორი არ უნდა იყოს.

ჩვენთან კი არიან გაჭირვებულები, მაგრამ ზოგიერთი ისეთია, პურს არ შეჭამს და ტანსაცმელს იყიდის. ასე რომ, საქართველოში ასეთი ხალხის პოვნა ნამდვილად არ გაჭირდება.

წერეთლის გამზირზე, ბაზაში, საიდანაც ფუთები გააქვთ, არათუ 25-ლარიანი, არამედ 40-50-60-ლარიანი ფუთებიც ბლომადაა. ფასებიც დაბალი კი არა, ლამის ბაზრობის ფასებს უტოლდება.




ეს ევროპული ტანსაცმელია და არა თურქული ან ჩინური. ნახმარი რომ არის, ეტყობა? ზოგიერთს მარკა აქვს. იქაური ჩამოფასებული საქონელია. ხარისხი ბევრად სჯობია იმას, რასაც ბაზრობაზე ხედავთ, – არ ჩერდება გამყიდველი და რეკლამას დიდხანს აგრძელებს.

**– „მეორადების“ მომხმარებელი ღარიბი ფენააო?**

– უიმე, აქ ისეთი ძვირფასად ჩაცმული ადამიანები მოდიან, გაგიკვირდებათ. არის კატეგორია, რომელსაც უნდა მაღალი ხარისხის ტანსაცმელი, მაგრამ ვერ იხდის იმხელა თანხას. ამიტომ ურჩევნია, იყიდოს ნახმარი.

**– ვაგზალთან რომ „მეორადებია“, იქ ძალიან დაბალი ფასები რატომაა?**

– დაბალი ხარისხის საქონელია და იმიტომ.

**– ნახმარებშიც არის დაბალი და მაღალი ხარისხი?**

– აბა, მე ფუთაში ორმოც ლარს ვიხდი, ისინი თექვსმეტ ლარად ყიდულობენ. გაყიდიან ლარად, აბა რა!

ბაზაშიც დაადასტურეს, რომ ევროპულ საქონელსაც კატეგორიები აქვს. – ეს არა მარტო აქ, ევროპაშიც ხარისხდება – ერთი ნაწილი განვითარებული ქვეყნებისთვისაა, მეორე – განვითარებადისათვის.

**– აკი, განვითარებული ქვეყნისათვის მეორადი ხარისხის საქონლის შემოტანა არ შეიძლებაო?**

– ვინ გითხრათ, ტყუილია. „მეორადები“ არის ინგლისში, გერმანიაში და შვეიცარიაშიც კი.

**– იქ შეიძლება ადგილზევე იბარებენ?**

– არა, შეაქვთ. ყოველ შემთხვევაში, არ არსებობს, რომ ეს ბიზნესი გააუქმონ საქართველოში...

**– თქვენ ისე გწყდებათ გული, ალბათ, სარფიანადააწყვეთ ეს საქმე?**

– არა, არა, ისეთი მომგებიანი არაა, როგორც ნავთობი, სიგარეტი...

**– რამდენია ბაზის ყოველთვიური შემოსავალი?**

– უფლება მაქვს, არ გითხრათ.

**– ეს ამდენი საქონელი ყველა ხომ არ იყიდება, სად მიდის დანარჩენი?**

– ბევრი იყიდება. ნაწილი მიაქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს ქველმოქმედებისათვის. ვჩუქნით ბავშვთა სახლებს, ინვალიდებს. ერთ-ერთმა ორგანიზაციამ შარვლები შეგვიკვეთა ვეტერანებისათვის. ბევრიც ნაგავში იყრება და ასე.

* * *

ასეა თუ ისე, ჩვენში ეს ბიზნესი კარგად რომ მუშაობს, ფაქტია. იმდენი მარკეტი, ქსელი თუ ჯიხურია მეორადი მოხმარების საქონლისა, საეჭვოა, წაგებაზე ან უკეთესის მოლოდინის იმედითლა არსებობდნენ. კარგია, რომ ბევრი ადამიანია დასაქმებული, მათ ყოველდღიურად სულ ცოტა ხუთი ლარი ხომ მაინც მიაქვთ ოჯახში. რადგან ამ ბიზნესში მოგების მოგებასაც ნახულობენ, ეტყობა, მუშტარიც არ აკლიათ. მყიდველებს ძალიან ეწყინათ, როცა გაიგეს, „მეორადები“ აიკრძალებაო. „– ერთი აქ თუ ვახერხებდით რალაცის ყიდვას და ვიცვამდით, ახლა ესეც თუ მოსპეს, რა უნდა ვქნათ, საინტერესოა?!“ – დაიჩივლეს გულუბრყვილოდ.

არავინ იცის, ხვალ და ზეგ რა მოხდება, ან რა სიურპრიზს შემოგვავაზებს ევროსაბჭო, ნატო თუ სხვა მავანი მრჩეველი.

**საწყენი ის იქნება, „მეორადები“ მართლა რომ აკრძალონ საქართველოში, რადგან იგი დღეს უამრავი ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება „პირველადებს“, ყველამ ვიცით, რომ მისი ხარისხიც და ფასებიც მხოლოდ და მხოლოდ ამა ქვეყნის პირველებისთვისაა მისაღები და სასურველი.**

**თეა მოსია**

◎ ინფორმაცია

### ფალსიფიცირებული კარაქი შემოაქვთ

**ქართულ** ბაზარზე წარმოდგენილი რუსული კარაქის დიდი ნაწილი ფალსიფიცირებულია. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარემ მადონა ქოიძემ განაცხადა.

მისი თქმით, მომხმარებელთა ფედერაციამ დამოუკიდებელ ლაბორატორიაში 23 კარაქის ნიმუშის ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა.

– რუსული კარაქის ნიმუშებში აღმოჩნდა მიკრობაქტერიები, ნაწლავის ჩხირები, პროტეუსის (ლპობის) ბაქტერია და სხვა. ქართული პროდუქცია ამ მხრივ ხარისხიანი და უფრო იაფიცაა, – აღნიშნა ქოიძემ.

მომხმარებელთა ფედერაციამ მიმართა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის კარაქის იმპორტი ხორციელდება რუსეთიდან.

მადონა ქოიძის თქმით, მიმდინარე წელს რუსეთიდან მხოლოდ 972 კილოგრამი კარაქია იმპორტირებული, ქართულ ბაზარზე კი 10-ჯერ და 100-ჯერ უფრო მეტი ე.წ. რუსული კარაქია წარმოდგენილი.

**ინტერპრესნიუსი**

### ტეხურის ოქრო გაიყიდა

**გუშინ** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, „დააბანდე წიაღისეულში“ პროექტის ფარგლებში, სასარგებლო წიაღისეულის გრძელვადიანი სარგებლობის ლიცენზიის მოპოვების მიზნით მორიგი აუქციონი გაიმართა.

აუქციონზე საქართველოში არსებული 14 მსხვილი საბადოდან გამოტანილი იქნა მეორე ობიექტი მარტვილის რაიონში ტეხურის ოქროს, კობალტის, ვერცხლის, ტყვიის, თუთიის და სპილენძის გამოვლინება. საწყისი ფასი – 100 000 4 (ეკვივალენტი ლარებში) იყო.

აუქციონში მონაწილეობდა 4 კომპანია: „მეტალონ ჯორჯია“ „საქართველოს სამთო საქმიანობის კომპანია“, „ველი“, „მეიფეა გოლდ“.

ტეხურის მადნიან ველზე სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის 40-წლიანი უფლება კომპანია „ველმა“ მოიპოვა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 92. ოთხშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

ყოფა

● არა მგონია მთავრობას სირცხვილის გრძნობა აწუხებდეს. ასე რომ იყოს, ხელისუფლებაში მოსვლის წინ პედაგოგებისა და პენსიონერებისთვის მიცემულ პირობას შეასრულებდა — საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა და წყლისა და ხმელპურის ანაბარა არ დატოვებდა



◎ ბიუჯეტი

# მთავრობა ხელგაშლილია, მოსახლეობა - ხელგაწვდილი

ხელგაშლილობა. ეს ფენომენი ქართველისთვის სახლიკაცობის ტოლფარდია. თუმცა ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ბოლო წლებში იძულებული გახდა, გამომშვიდობებოდა ამ თვისებას, რომელმაც საუკუნეები გამოიარა. იგი, ტრადიციული ხელგაშლილობა და სტუმართმოყვარეობა, ეკონომიკურმა გაჭირვებამ და ხალხის მასობრივმა გაღატაკებამ შეცვალა. ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები გაივსო მათხოვრებით, ხელგაწვდილი ადამიანებით, რომლებიც გამვლელ-გამოვლელთაგან მოწყალებას ითხოვენ.

ამ ფონზე, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, საქართველოში ხელგაშლილობა ჯერ კიდევ მთლად არ გადაშენებულა, რასაც მთავრობის გონივრულ პოლიტიკასა და გაუნელებელ ძალისხმევას უნდა ვუმადლოდეთ. რომ არა ჩვენი ხელისუფლების სიჯიუტე და ნაყოფიერი გარჯილობა, საკუთარ ხელფასებსა და ქონების დაგროვებაზე ყოველდღიური ზრუნვა, ადვილი შესაძლებელი იყო, მთავრობის გაზულუქებულ მოხელეთა და პარლამენტართა უმრავლესობა სილატაკის იმავე ჭაობში აღმოჩენილიყო, როგორშიც ქვეყნის მოსახლეობაა.

კიდევ კარგი ასე არ მოხდა და ხელისუფლებამ მაინც მოახერხა სილატაკიდან გამოძრომა, თორემ ქვეყნის ეკონომიკურ სტაგნაციას, რასაც ამერიკამაც კი ვერ დააღწია თავი, წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ახლა ღვთის წყალობით ამის საშიშროება აღარ გვემუქრება. პირიქით, მთავრობა ქართველთა ოდინდელ ტრადიციულ ხელგაშლილობას ამჯერადაც არ ღალატობს და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 641 მილიონი ლარით გაზრდას აპირებს. აბა რა ქნას, წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტმა გეგმიურთან შედარებით ბევრად მეტი შემოსავალი მიიღო და იძულებულია, გახარჯოს, ფულს ხომ არ გადაყრის!

ეს უბრალო ჭეშმარიტება რატომღაც ვერ გაუგია საპარლამენტო ოპოზიციას და გაზრდილი ბიუჯეტისთვის ხმის მიცემას საერთოდ არ აპირებს, მას ეჭვი ღრღნის, რომ ხელისუფლება გასახარჯი თანხის უდიდეს ნაწილს თავდაცვის სამინისტროს უფეშქაშებს და მას შემდგომში საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად გამოიყენებს. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც მთავრობას ბიუჯეტის მილიტარიზაციაში სდებენ ბრალს. მათ ამის საბაბიც აქვთ — თუ ასე არ არის, მაშ რატომ უორმაგებენ დაფინანსებას თავდაცვის სამინისტროს (იგი მთლიანი ბიუჯეტის ერთ მეოთხედს მიიღებს), განა ქვეყანაში გაჭირვებული ველარავინ ნახესო?!

ჰო და ჰო, როცა ქვეყანაში ამდენი უბედურება ტრიალებს (მასობრივი უმუშევრობა, ხალხის უდიდესი სილატაკე, მოშიმშილე პენსიონერები და პედაგოგები), ხელისუფლება მაინცდამაინც რაღა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების დასაფინანსებლად იჩენს ხელგაშლილობას, ღატაკი მოსახლეობისკენ კი გახედვაც არ უნდა? იქნებ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთ ყოველწლიურად უზრდის დენის, გაზის, წყლის გადასახადებს და მათთან დალაპარაკების ესირცხვილება!

**არა მგონია მთავრობას სირცხვილის გრძნობა აწუხებდეს. ასე რომ იყოს, ხელისუფლებაში მოსვლის წინ პედაგოგებისა და პენსიონერებისთვის მიცემულ პირობას შეასრულებდა — საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა და წყლისა და ხმელპურის ანაბარა არ დატოვებდა.** შე მამაცხონებულო (მთავრობის მისამართით ვამბობ), თუ შევარდნაძის ხელისუფლებას სთხოვდი ერთმილიარდიანი ბიუჯეტის პირობებში პენსიონერისთვის მრავალ შეღავათს, ახლა როცა საბიუჯეტო შემოსავლები ნაწვიმარ მდინარესავით ადიდდა, სად ბებიაჩემისკენ იყურები?

რით გადიდდა შემოსავლები — რაკეტით, მეწარმეებისგან „ნაჩუქარი ქონებით" თუ საჯარიმო სანქციების ყოველდღიური მატებით — ეს კიდევ საკითხავია, მაგრამ ხომ ადიდდა. როგორც უკვე ვთქვით, ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს 641 მილიონი ლარი დაემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე საერთო ჯამში ბიუჯეტიდან 4,719 მილიარდი ლარი გაიცემა.

**მაგრამ ვისზე გაიცემა? ადრესატები უკვე ცნობილია: თავდაცვის სამინისტრო დამატებით 445 მილიონ ლარს მიიღებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო — 67 მილიონ ლარს, გზების რეაბილიტაციაზე 29 მილიონი ლარი დაიხარჯება.**

**აი ქვეყნის პრიორიტეტები, რაზეც ხელისუფლებამ ფული უნდა გაიღოს. მაგრამ ღატაკი ხალხი — ეს ვიღას პრიორიტეტია? ხალხი დაფინანსების პრიორიტეტი არც ყოფილა და არც იქნება (კომუნიზმის შენების დრო წარსულს ჩაბარდა), ერთადერთი, რაც მას ავალია, ხელისუფლების არჩევა გახლავთ, ეს არის და ეს. თუ არ მოსწონს, ოპოზიციას შეეკრას, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები მოაწყოს და გული ამით მოიოხოს (ასეც აკეთებს).**

ეს რა, ცოტა გგონიათ? ხელისუფლებას რომ არ ეყოჩაღა და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები არ განეხორციელებინა, ხალხი ამის უფლებას ვერასოდეს მოიპოვებდა. ვერც იმას, რომ პენსიონერებს თანხა გაუორმაგათ. თუ ესეც არ ჰყოფნით, ეს უკვე მთავრობის კი არა, ინფლაციის ბრალია. ამ უკანასკნელს თავისი პატრონი ჰყავს — ეროვნული ბანკი. აი ამ დღეებში მოისმენენ მისი თავკაცის — რომან გოცირიძის ანგარიშს და თუ რამეში ბრალი დაედო, სულ კუდით ქვას ასროლინებენ.

რაც შეეხება თავად მთავრობას, პედაგოგთა ხელფასები და პენსიები უფრო მეტად იმ მოტივით აღარ გაზარდა, რომ ინფლაციის მოერიდა. ჯერ ისეც როგორ გაჯეჯილდა ეს ოხერი ინფლაცია და ხელისუფლებას კიდევ ზედმეტი ხარჯები რომ გაეღო, მაშინ რაღას იზამდა?

კიდევ კარგი, ჭკუას მოუხმო და ფული დაზოგა!

**თუმცა, რად გინდა რა, მთავრობას გონიერებას მაინც არ უფასებენ და უზომო ხელგაშლილობაში ადანაშაულებენ. კერძოდ, რაში? გნებავთ იმაში, რომ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მიუხედავად, დეფიციტი — ანუ ხარჯებსა და შემოსავლებს შორის სხვაობა კიდევ 18 მილიონი ლარით იზრდება. ესღა გვინდოდა? ისედაც ბიუჯეტის დეფიციტი 365 მილიონ ლარს აჭარბებს და მას კიდევ წამატება უნდოდა?**

შე დალოცვილო, იმყოფინე გაზრდილი შემოსავლები და საბანი იქამდე დაიხურე, სადამდეც გაგწვდება!

არა, ჩვენმა მთავრობამ ყოყლოჩინობა და ხელგაშლილობა მაშინაც ვერ მოიშალა, როცა ეკონომიკა ექცევა (რეალურად და არა სტატისტიკური მონაცემებით) და ხალხი შიმშილით ეხოცება. ჩვეულებას არ ეღალატება, იმაზე მეტი უნდა დახარჯოს, ვიდრე შემოსავლები აქვს, რათა თავად განცხრომით იცხოვროს, ხალხი კი ფეხებზე დაიკიდოს.

ყველაფერს თავი გავანებოთ, საბიუჯეტო ხარჯების ზრდა, მიმოქცევაში ფულის მასის დამატებითი მოცულობის გაშვება განა ინფლაციურ პროცესებს კიდევ უფრო არ გააძლიერებს? თუ ამას დავუმატებთ დენის, გაზისა და წყლის სატარიფო განაკვეთების ზრდას, ისედაც ღატაკი ქვეყნის ღატაკ ხალხს რა პასუხს ვაძლევთ?

თქვენ წარმოიდგინეთ, მთავრობას, რომელსაც ნამუსი არ აწუხებს, ამის პასუხიც აქვს. როგორც ფინანსთა სამინისტროში ირწმუნებიან, ბიუჯეტიდან გაწეული დამატებითი ხარჯები ქვეყანაში ინფლაციას არ გაზრდის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 30 მილიონ ლარს საგარეო ვალების გასასტუმრებლად გამოიყენებენ, ფულის დიდი ნაწილი კი საზღვარგარეთ ტექნიკისა და მოწყობილობების შესასყიდად გავა. ასე რომ, დასახარჯი ფული ქვეყნის შიგნით კი არ დატრიალდება, მის გარეთ გაედინება.

ამის შემდეგ მოდი და დაემდურე ხელისუფლებას, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის პარალელურად ამ შემოსავლების უპრაგონო ხარჯვასა და ხალხის გაღატაკებაშიც საკმაოზე მეტად დაოსტატდა!

**ოთარ ხუციშვილი**

№ 92. ოთხშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

◎ ადგილობრივი თვითმმართველობა

# წლეულს — შარშანდელზე უკეთ

## ამგვარი მუშაობა აქვს მიზნად დასახული ხობის ხელმძღვანელობას

*უკვე მესამე წელი დაიწყო, რაც ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლად ბატონი რობერტ გვიჩია მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში რაიონის ეკონომიკური წარმატებები ნამდვილად თვალსაჩინოა. სწორედ მიღწეულსა და სამომავლო ამოცანებზე ვთხოვეთ მას საუბარი.*

— ყოველი სიახლე, როგორც წესი, უკეთესთან ასოცირდება, — ამბობს ბატონი რობერტი. — მმართველობის თვითმმართველობით შეცვლა უდავოდ პროგრესულია, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით შესაძლებელი ხდება რაიონული მნიშვნელობის საკითხების მართვა და მოწესრიგება საკუთარი პასუხისმგებლობითა და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ხობის მუნიციპალიტეტმა მუშაობა დაიწყო 2007 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვით, რომელშიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც მონაწილეობდა.

**— რაკი სიტყვა ბიუჯეტზე ჩამოვარდა, როგორ შეასრულეთ შარშანდელი წლის საბიუჯეტო დავალებები და როგორ დაიწყეთ მიმდინარე წელი?**

— 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილი იყო 2716,3 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსთვის ფაქტობრივად შემოვიდა 6550,1 ათასი ლარი. ასეთი ჭარბი შემოსავლების საფუძველზე 2007 წლის ბიუჯეტი 6817,1 ათასი ლარით დაიგეგმა, რაც უდავოდ იძლევა რაიონის ინფრასტრუქტურის აღორძინებისა და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების გარანტიას.



**— პრაქტიკულად რა ღონისძიებები ხორციელდება მეჩაიეობაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით. მიმდინარეობს თუ არა არსებული ჩაის პლანტაციების პრივატიზება და, საერთოდ, როგორ ფიქრობთ ამ დარგის აღდგენას?**

— ხობის რაიონში სულ 1382 ჰექტარი ჩაის პლანტაცია იყო, აქედან 300 ჰექტარი სრულიად ამორტიზებულია, აღსადგენია 430, ხოლო მოსავლიანია 650 ჰექტარი, რომელიც გაიჯარებულია. მეიჯარეებს არაერთგზის გაეწიათ დახმარება სახელმწიფოსგან სუბსიდიების სახით. ყველაზე წარმატებული მეიჯარეა შპს „ელექსირის" მფლობელი ტარიელ სერგია, რომელიც 252,5 ჰექტარზე აწარმოებს და საკუთარ მინიფაბრიკაში გადაამუშავებს მაღალხარისხიან პროდუქციას. დანარჩენმა მეიჯარეებმა, მიუხედავად სახელმწიფო სუბსიდიებით დახმარებისა, წარმატებებს ვერ მიაღწიეს და 325 ჰექტარი ისევ ელოდება ინვესტორებს.

**— რა მდგომარეობაა სოციალურ სფეროში, დროულად გაიცემა პენსია-დახმარებები?**

— ამ მხრივ რაიონში პრობლემები არა გვაქვს, ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტის წყალობით, შესაძლებელი ხდება პენსიების, ხელფასებისა და დახმარებების დროულად გაცემა.

**— რა მდგომარეობაა მოსახლეობის ენერგომომარაგების საქმეში?**

— ენერგოკრიზისი დაძლეულია, მხოლოდ გამრიცხველიანების მხრივ არის პრობლემები. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ვერ ხერხდება ამის დაწყება. კომუნალური მრიცხველი კი მოსახლეობისთვის მუდმივი უხერხულობისა და უკმაყოფილების საბაბია, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობამ თვითონვე მიაღწია უკიდურესობიდან გამოსავალს, მათ თვითონვე დაამონტაჟეს ინდივიდუალური მრიცხველები და ურთიერთკონტროლით ახერხებენ კომუნალურ მრიცხველთან შესაბამისობას.

**— ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე რას გვეტყოდით?**

— ჯანდაცვა და სოციალური სფერო ხობის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია.

**ის. 6 გვ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ჩაის სექტორი უპრობლემოდ შეიძლება იყოს სიცოცხლისუნარიანი, მომგებიანი და რეალური მომავლისკენ მიმართული საქმიანობის სფერო“. თუ ამ ცნობილი ექსპერტის დასკვნას დავუჯერებთ და სახელმძღვანელოდ გამოვიყენებთ, მაშინ ჩაის პლანტაციები კი არ უნდა ამოვძირკვოთ, არამედ მათ კარგად უნდა მივხედოთ



ადამიანი დროში

# ქართველები ჩაის ასე უღმერთოდ არ უნდა ვექცეოდეთ



ჩაის დარგის ცნობილ სპეციალისტს, მეცნიერსა და ორგანიზატორს რამაზ ფანცხავას დაბადებიდან 75 და შრომითი საქმიანობის დაწყებიდან 53 წელი შეუსრულდა.

მისი სახელი ცნობილია არა მარტო ქართველ მეჩაიეებს შორის, მას პატივს სცემენ და სათანადოდ აფასებენ დსთ-ის ჩაის მრეწველობის სხვადასხვა რეგიონში, აგრეთვე იაპონიასა და ვიეტნამშიც.

რამაზ ფანცხავა ცნობილია აგრეთვე როგორც მეცნიერ-მკვლევარი. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შეიქმნა ჩაის დამუშავების ახალი ტექნოლოგიური სქემები, რაც თავის დროზე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. გამოცდილებისა და ერუდიციის გათვალისწინებით ბატონ რამაზს თითქმის ყველა ხელმძღვანელი პოსტი ეკავა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, რაც შესაძლებლობას აძლევდა, გადაეწყვიტა ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარების საქმეში არსებული პრობლემები.

დღეს უკვე ჭარმაგ, მაგრამ ახალგაზრდული შემართებით დამუხტულ რამაზ ფანცხავას საფიქრალი კვლავ ჩაის პლანტაციებს დასტრიალებს, აწუხებს მისი დღევანდელი სავალალო მდგომარეობა, როგორც შეუძლია ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ჩაი შეუცვლელია და მას მომავალი უთუოდ აქვს.

ბატონ რამაზ ფანცხავას ვულოცავთ იუბილეს და გთავაზობთ მცირე ინტერვიუს მასთან.

**— ბატონო რამაზ, რა ხდება სადღეისოდ მეჩაიეობაში?**

— სამწუხაროდ, გასახარებელი არაფერი. გული მტკივა, რომ ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობის გარეშე დარჩენილი მეურნე ველარ უვლის ჩაის პლანტაციას. კიდეც რომ მოუაროს და მოკრიფოს ჩაის ფოთოლი, სად წაიღოს? წარმოების შემცირების გამო გაძნელებულია მისი რეალიზაცია. ამიტომ იგი იძულებულია, ამოძირკვოს ჩაის ნარგავები და მის ადგილზე სხვა კულტურის გაშენება დაიწყოს. არადა, ამოძირკვა მეტად შრომატევადი სამუშაოა, მისი შესრულება ერთ კაცს უჭირს, თან იცის, რომ მიწა უკვე გამოცლილია ყველანაირი საკვებისგან, რაც სხვა კულტურას სჭირდება, ბალანსის აღდგენას კი წლები უნდა, ამიტომ დიდი სურვილიც არა აქვს ჩაის ამოძირკვისა, მაგრამ სხვა გზასაც რომ ვერავინ აჩვენებს? ესაა სწორედ ჩვენი უბედურება.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ არ არსებობს ალტერნატიული კულტურები, ჩაის ეკონომიკურ პოტენციალს რომ გაუტოლდნენ, აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ხელისუფლება ჯერ კიდევ ვერ არეგულირებს ამ პროცესებს და მეცნიერულად დამუშავებულ რჩევებს არ აძლევს მიწათმოსარგებლეებს, თუ როგორ გამოიყენონ გლეხებმა მათზე გაპიროვნებული მიწის ფართობი.

**— სახელდობრ, ჩაის ამოძირკვას ნიადაგისათვის რა ზიანის მიყენება შეუძლია?**

— როგორც ცნობილია, ჩაის პლანტაციების ძირითადი მასივები, როგორც დაბლობ, ისე ფერდობ ადგილებზეა გაშენებული. ფერდობებზე გაშენებული პლანტაციების ამოძირკვის შემთხვევაში ნიადაგის ეროზია ხდება, განვითარდება აგრეთვე მეწყერული პროცესები, ჩამოირეცხება ნიადაგის ფენები, ამდენად მიწები სხვა კულტურებისთვისაც გამოუდეგარი ხდება.

რაც შეეხება დაბლობ ადგილებში გაშენებულ პლანტაციებს, მათი ამოძირკვის შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიანობის გამო, ნიადაგი ჭაობდება, შეიცვლება ეკოლოგიურ-კლიმატური პირობები, დაირღვევა ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვნად შეუძლის ხელს შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე დამსვენებელთა მოზიდვას.

**— პირადად თქვენ, ბატონო რამაზ, რას ურჩევდით მეჩაიეებს?**

— ჩემი ათეული წლებით დაგროვილი გამოცდილებითა და ღრმა რწმენით შემიძლია დავასკვნა, რომ ჩაის პლანტაციების ამოძირკვა არ არის საჭირო, იგი ხომ გლეხს, მეჩაიეს დიდ შემოსავალს აძლევდა, ძნელია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ დარჩენილი პლანტაციების გადარჩენისა და მოვლა-პატრონობის გზებზე, საამისოდ საჭიროა გამოცდილი სპეციალისტების რჩევების გათვალისწინება, მით უმეტეს ამოძირკვას უფრო მეტი შრომა და თანხები სჭირდება, ვიდრე პლანტაციის მოვლას.

**— დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. როგორია მისი დამოკიდებულება ამ დარგისადმი?**

— დიახ, ხელმძღვანელი პირი, ანუ მინისტრი ახალია, სამინისტროს ძირითადი ბირთვიც შეცვლილია. მინდა გითხრათ, რომ ხელმძღვანელობისთვის საკმარისად კარგად ცნობილია ჩაის დარგში არსებული სადღეისო მდგომარეობა, შექმნილი პრობლემები. ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად მაქვს, რადგან სამინისტროში მზადდება ჩაის დარგის განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელება, სპეციალისტების აზრით, დასაბამს მისცემს დარგში ინვესტიციების მოზიდვას.

**— თქვენი აზრით, რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს ქართულ ჩაის?**

— დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე — საკმაოდ ცუდი, მაგრამ მას მომავალი უსათუოდ ექნება. დღეს ქართულ ჩაიზე მოთხოვნილება მცირდება. ჩვენი ბაზარი სავსეა ინგლისური, ჩინური, რუსული, გერმანული, შრი-ლანკის ჩაით, ქართულ ჩაის კი მოკრძალებული ადგილი უკავია, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს დროებითია, თუ ამ დარგს ჩვენში ხელშეწყობა ექნება, ქართული ჩაი გემოვნებით ნებისმიერ ჩაის აჯობებს. ჩვენს ჩაის ქართველები ასე არ უნდა მოვქცეოდით.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გაგაცნოთ მსოფლიოს ჩაის რესურსების საერთაშორისო ექსპერტის ბატონ მიჰაკიტ სენის მოსაზრება:

„საქართველოს ჩაის სექტორი უპრობლემოდ შეიძლება იყოს სიცოცხლისუნარიანი, მომგებიანი და რეალური მომავლისკენ მიმართული საქმიანობის სფერო“. თუ ამ ცნობილი ექსპერტის დასკვნას დავუჯერებთ და სახელმძღვანელოდ გამოვიყენებთ, მაშინ ჩაის პლანტაციები კი არ უნდა ამოვძირკვოთ, არამედ მათ კარგად უნდა მივხედოთ, მოვუაროთ, ვიზრუნოთ მზა პროდუქციის რეალიზაციაზე. ეს დასავლეთ საქართველოს გლეხობას მისცემს დიდ ფულად შემოსავალს და ქვეყნის ბიუჯეტსაც სათანადოდ წაადგება.

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**

№ 92. ოთხშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

ადგილობრივი თვითმმართველობა

# წლეულს – შარშანდელზე უკეთ

## ამგვარი მუშაობა აქვს მიზნად დასახული ხობის ხელმძღვანელობას

(მეექვსე გვერდიდან)

2006 წელს ჯანდაცვაზე გახარჯულია 137,5 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალური პროგრამით ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში ფუნქციონირებს 5 უფასო კაბინეტი: კარდიოლოგიური, კან-ვენის, პთიზიატრიული, უროლოგიური და მოზარდთა. ასევე უმწეო ავადმყოფებს ტრავმატოლოგიურ განყოფილებასა და ბავშვთა სტაციონარში ყოველთვიურად 500-500 ლარის ფარგლებში უფასო მომსახურებას ვუწევთ.

სოციალურ სფეროში გახარჯულია 404,8 ათასი ლარი: უმწეოთა დახმარებებზე — 303,6 ათასი ლარი, რომელიც გაიხარჯა ოპერაციებსა და მკურნალობაზე, ასევე, ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის.

სოციალურად დაუცველი და ობოლი ბავშვებისთვის განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები კულტურული პროგრამების ჩათვლით.

**— განათლების სისტემასა და კულტურის სფეროში რა ხდება, როგორ გესახებათ კულტურის არსებული კერების მუშაობის გამოცოცხლების პერსპექტივები?**

— განათლება და კულტურაც ასევე პრიორიტეტულია. განათლების სამინისტროს დაფინანსებით (182000 ლარი) ხობის № 1 საშუალო სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, ხოლო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, გარემონტდა ძველი ხიბულის, ქარიატის, შუა ხორგის და საჯიჯაოს სკოლები.

ხობის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, გარემონტდა ხობის № 2 საშუალო სკოლა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ოთხ სოფელში — საშუალო სკოლა, შვიდ სოფელში კი — ბაგა-ბაღები. 2007 წლისათვის რემონტი ჩაუტარდებათ განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების შენობებს ჭალადიდში, ხამისქურში, ახალ ხიბულაში, ქარიატაში, პირველმაისში, ზემო ქვალონში, შუა ხორგაში, ბიასა და საგვიჩიოში.

ასევე მიმდინარეობს კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია. გარემონტდა კულტურის შვიდი სახლი, მუზეუმი, ბიბლიოთეკები.

**— ადრე მოქმედი, ამჟამად კი თავმინებებული და გაჩანაგებული სამრეწველო საწარმოების აღდგენა-განახლებასა და ამ გზით უმუშევართა დასაქმებაზე რას იტყოდით?**

— გაჩანაგებულის აღდგენის რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალი სამრეწველო საწარმოები ნამდვილად იქმნება. როგორც მოგეხსენებათ, ხობის რაიონში მედაფნეობა ტრადიციულად არსებობს. ამჟამად ფუნქციონირებენ დაფნის გადამმუშავებელი საწარმოები. საერთოდ მრეწველობაში დარეგისტრირებულია 88 საწარმო, ვაჭრობაში — 115, მშენებლობაში — 69. 2006 წელს ამუშავდა ასფალტის ქარხანა, ღორღის გადამმუშავებელი ორი საწარმო, მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული „გიპსოკარდონის“ — თაბაშირ-მუყაოს პროდუქციის დამამზადებელი შპს „ხიბლის“ მშენებლობა.

დასასრულს უახლოვდება ყულევის ტერმინალის მშენებლობა. აქედან გამომდინარე, იქ მუშახელის დასაქმების საშუალებაც გვეძლევა. მართალია, დასაქმების დონე ჯერჯერობით შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტია, მაგრამ ამ მხრივ ხობს დიდი პერსპექტივა აქვს, ვინაიდან მალე დაიწყება გაზის ტერმინალის მშენებლობაც, სადაც დასაქმდება მოსახლეობის დიდი ნაწილი.

**— რა მდგომარეობაა ქალაქ ხობისა და სოფელთა ცენტრების იერსახის გაუმჯობესების მხრივ, რა გაკეთდა და კეთდება საამისოდ პრაქტიკულად?**

— ყველაზე თვალსაჩინო, რაც გაკეთდა რევოლუციის შემდეგ, არის ინფრასტრუქტურის განვითარება. მთლიანად შეიცვალა სახე ქ.ხობმა: გარემონტდა და შეიღება ყველა საცხოვრებელი კორპუსი, გაშენდა სამი სკვერი, ორი სპორტული მოედანი, მთლიანად მოასფალტებულია ქალაქის ცენტრალური ნაწილი, აღდგენილია ცენტრალური ტრასის, ზუგდიდი-ხობი-სენაკის მონაკვეთის განათება, ქალაქის ცენტრალური ნაწილის ღამის დეკორატიული განათება.

კარგი ტემპით მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლებში: გარემონტდა ადმინისტრაციული შენობები, გზები, აშენდა სპორტული მოედნები.

2007 წელს ხობის მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს ინფრასტრუქტურის განვითარებას. ბიუჯეტით გათვალისწინებულია საგზაო სამუშაოების 862,2 ათასი ლარით დაფინანსება, წყალსადენის სრული რეაბილიტაცია — 352,6 ათასი ლარით, ნაგავსაყრელის მოწყობა — 120 ათასი ლარით, სანიაღვრე არხების გაწმენდა — 100,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაიხარჯება 211,3 ათასი ლარი და ა.შ.

ასე რომ, 2007 წლის ბოლოსთვის ხობის მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იქნება.

**— რა მდგომარეობაა კრიმინალებთან ბრძოლის საქმეში, როგორ ასრულებენ სამართალდამცავი ორგანოები მოვალეობას?**

— სამართალდამცავების საქმიანობაც წარმატებულია, ვინაიდან აშკარად შემცირდა სამართალდარღვევების რაოდენობა, თითქმის ალკვეთილია ყაჩაღობები და სხვა მძიმე დანაშაულობები. მდგომარეობა სტაბილურია.

ესაუბრა
**იოსებ გობეჩია,**
„სრ“ საკ.კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღევანდელობა

• სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები კვლავ რჩება სტუდენტებისთვის ყველაზე პრიორიტეტულად, თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო სექტორში შეტანილ განცხადებათა რაოდენობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს სინამდვილეში კერძო უმაღლესი სასწავლებლები ფეხს მტკიცედ იკიდებენ



◎ ისმინე, სწავლის მძებნელო!

## სანამ გამოცდები დაიწყება

*ახლოვდება ერთიანი ეროვნული გამოცდები. თუ შარშან 32000 აბიტურიენტი აბარებადა, წლეულს მათი რიცხვი 40000-მდე შეიძლება გაიზარდოს. უკვე ამის მონაცემებიც გვაქვს. ამჟამად მიმდინარეობს საგამოცდო ცენტრების მოწესრიგების სამუშაოები. თბილისში გამოცდები კვლავ ჩატარდება სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და აგრარულ უნივერსიტეტში, ასევე იმ ქალაქებში, სადაც ადრე ტარდებოდა — რუსთავში, თელავში, სიღნაღში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, ფოთში. გამოცდებს ყველგან დაესწრებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრიდან მივლინებული წარმომადგენლები.*

რაკი აბიტურიენტთა რიცხვი გაიზარდა, მას გარკვეული სირთულეებიც ახლავს. იგულსხმება აბიტურიენტთა გადანაწილება სხვადასხვა ქალაქში. ეს საკითხი უკვე მოგვარებულია და ამის გამო აბიტურიენტებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ. გამოცდები წლეულსაც იმავე რეჟიმში და იმავე ფორმებში ჩაივლის, როგორც ეს შარშან და შარშანწინ იყო.

გამოცდა ყველაგან დაიწყება დილის 9 საათზე, ხოლო რეგისტრაცია ერთი საათით ადრე მოხდება. მეორე სესიაზე გამოცდა იწყება 14 საათზე, შესაბამისად რეგისტრაცია 13 საათზე ჩატარდება.

შარშან თუ გამოცდები იწყებოდა ქართული ენით და შემდეგ იყო ზოგად უნარებში, უცხო ენებში და ასე შემდეგ, ახლა უნარებმა გადმოინაცვლა პირველ პოზიციაზე, შემდეგ მოდის ქართული ენა, უცხო ენა და ასე შემდეგ. ასეთი ცვლილება გამოსაცდელთა ახალი კონტინგენტის მატებამ გამოიწვია, რომლებიც ზოგად უნარებში იმისათვის აბარებენ ტესტებს, რათა მოიპოვონ ან გაიუმჯობესონ უკვე მოპოვებული გრანტი. სტუდენტების გამოცდებისათვის გამოიყო ცალკე — 4 ივლისი; აბიტურიენტები კი სტუდენტებზე ადრე გამოიცდებიან. სწორედ ამან გამოიწვია საგნების გადანაცვლება. მოცემული გრაფიკი გამოცდებს შორის პერიოდის თანაბრად განაწილებას ყოველი აბიტურიენტისათვის უზრუნველყოფს. თუ რომელი უმაღლესი სასწავლებელი ითვლება ყველაზე პრიორიტეტულად, ამის თქმა დღეს ძალიან რთულია, რადგან გამოსაცდელთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით რამდენჯერმე ჭარბობს მისაღები კონტინგენტის რიცხვს. პრაქტიკულად ყველა უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად დიდი კონკურსია. რა თქმა უნდა, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები კვლავ რჩება სტუდენტებისთვის ყველაზე პრიორიტეტულად, თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო სექტორში შეტანილ განცხადებათა რაოდენობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს სინამდვილეში კერძო უმაღლესი სასწავლებლები ფეხს მტკიცედ იკიდებენ.

მომავალი სტუდენტების უმრავლესობა, ძირითადად ორიენტირებულნი არიან ბიზნესზე, იურისპრუდენციაზე და მედიცინაზე. ასე იყო წინა წლებშიც. თითოეულ აბიტურიენტს თავის განცხადებებში შეეძლო დაესახელებინა მაქსიმუმ 7 ფაკულტეტი, ერთი ან რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელი.

**ნათელა ფაილოძე**

◎ ინფორმაცია

## ნოღაიდელზე ილაშქრებს

ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებებს ეხმაურება და აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთში უკვე მიეჩვივნენ, რომ საქართველო კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის დაძაბვას, ყოველთვის ოსურ მხარეს აბრალებს.

— პასუხისმგებლობა, ყველაფერზე, რაც უკვე 17 წლის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთის ირგვლივ ხდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთ მხარეს ეკისრება და ეს მხარე — საქართველოა. სამხრეთ ოსეთი, უკვე 17 წელიწადია, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძვის. სწორედ, ქართველების სინდისზეა ათობით გადამწვარი ოსური სოფელი და ასობით დაღუპული ოსი ეროვნების ადამიანის სიცოცხლე. ამის გათვალისწინებით, საკუთარი თავის პასუხისგებლობის გარდა, ვინმეს პასუხისმგებლობაზე საუბარი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან — უზნეობაა და სხვა არაფერი, — ამბობს ოს სეპარატისტთა ლიდერი და დასძენს, რომ სამხრეთ ოსეთის მთავრობა უბრალოდ, იძულებული იყო ქართველების მიერ კონტროლირებადი ტრანსკავკასიური მაგისტრალი გადაეკეტა, რათა იქ გამეფებული უკანონობისთვის ბოლო მოეღო.



შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარების მიმოხილვისას, ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობის ხელმძღვანელის ედურდ კოკოითის ბოლო დროს განხორციელებულ ქმედებებს, „უპასუხისმგებლო და გაუაზრებელი" უწოდა და კონფლიქტის ზონაში შექმნილ მდგომარეობაზე და ვითარების მოსალოდნელ ესკალაციაზე სრული პასუხისმგებლობა ედუარდ კოკოითს დააკისრა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ინფორმაცია

## კოკოითი აგონიაშია — რუსეთი უკმაყოფილოა



ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მოძრაობა „სამხრეთ ოსეთის ხალხი — მშვიდობისათვის" ლიდერი დიმიტრი სანაკოევი მიიჩნევს, რომ ედუარდ კოკოითის ბოლოდროინდელი მოქმედებები „აგონიაში მყოფი რეჟიმის მოქმედებებს ჰგავს".

ნაბიჯები რომელსაც კოკოითი დგამს, იმდენად გაუაზრებელი და სასონწარკვეთილია, ცხადია, რომ — ეს აგონიაში მყოფი რეჟიმის მიერ გადადგმული ნაბიჯებია, — განაცხადა სანაკოევმა. მისივე თქმით, კოკოითის ნაბიჯების არაადეკვატურობა, იმაში გამოიხატება, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ მოსახლეობას აზარალებს.

სანაკოევი დარწმუნებულია, რომ კოკოითის ადმინისტრაციის მოქმედებებით მოსკოვშიც უკმაყოფილონი არიან.

— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბოლო დროს არაერთი განცხადება გაავრცელა, რომლებშიც კოკოითს კონფლიქტის ზონაში მოქმედი ხელმოწერილი შეთანხმებების დარღვევაში ადანაშულებს.

ასე, რომ კოკოითი მისმა მფარველებმაც შეარყიეს და ამჟამად, ძალიან სულელურ სიტუაციაში იმყოფება, — ამბობს ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ კონფერენცია

*ჩვენდა საბედნიეროდ, ფრინველის გრიპის შემთხვევა საქართველოში 2006 წლის თებერვლის შემდეგ არ დაფიქსირებულა, მაგრამ ვეტერინარიის დარგის სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ ამ საკითხისადმი უყურადღებობა და მათი მიყურისძირება ქვეყანას შეიძლება ძვირად დაუჯდეს. მაისის დასაწყისში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ამასთან დაკავშირებით მეტად აქტუალური კონფერენცია ჩატარდა. იგი გაიმართა აშშ განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის (AGVANTAGE) მხარდაჭერით, რომელიც საქართველოს მთავრობის, დონორი ორგანიზაციებისა და მეფრინველეობის სექტორის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება.*

## ფრინველის გრიპი: მზადყოფნა და რეაგირება

კონფერენციაზე გამომსვლელთა სიტყვებში ხაზი გაესვა, რომ ფრინველის გრიპი, განსაკუთრებით კი $H_5N_1$ შტამის მაღალპათოლოგენური ფრინველის გრიპი უჩვეულო ტიპის ვირუსია, რომელმაც აზიაში, აფრიკასა და ევროპაში დაავადების აფეთქება და მაღალი ლეტალობა გამოიწვია.

საქართველოში ფრინველის გრიპი პირველად 2006 წელს თებერვალში დაფიქსირდა, საბედნიეროდ, სწრაფი რეაგირების შედეგად მოხერხდა ვირუსის ლოკალიზება, რაშიც, უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენმა ვეტერინარებმა, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში კარგა ხანს მუშაობდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩვენში ადამიანის ქათმის გრიპით დაინფიცირების არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა. მაგრამ, იმისათვის, რომ საქართველო კიდევ უფრო მომზადებული დახვდეს ამ დაავადებას, მოახდინოს ადეკვატური რეაგირება და მონიტორინგი, პრემიერ-მინისტრთან არსებულმა ფრინველის გრიპის საკოორდინაციო ჯგუფმა მსოფლიო ბანკთან ერთად სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დღესდღეობით ქვეყნის მასშტაბით შექმნილია ზედამხედველობისა და რეაგირების ცხრა შტაბი, რომლებშიც, თავის მხრივ, 64 რაიონული შტაბია გაერთიანებული. საქართველოში ასევე მოქმედებს 7 ვეტერინარულ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, ახლო მომავალში, იმედოვნებენ, რომ ეს რიცხვი 11-მდე გაიზრდება. აღნიშნული შტაბების მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, საველე თანამშრომლების დაინფიცირებისგან დასაცავად და ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურსა და ლაბორატორიებს ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებიც გადაეცა, აგრეთვე სადეზინფექციო ხსნარები, სწრაფი ტესტები და ნიმუშების ასაღები ნაკრები. მსგავსი კომპლექტი გადაეცა აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო სამსახურს და მათსავე ლაბორატორიას. სპეციალური ბიოუსაფრთხოების აღჭურვილობები ასევე დაურიგდათ ოთხ ფერმერულ მეურნეობას.



პროექტის შემდგენლებს არც სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი — კომუნიკაციის სტრატეგია დავიწყნიათ. თქვეს, რომ ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური DVD დისკი ბიოუსაფრთხოების შესახებ, დაიბეჭდა ბროშურა, ითარგმნა და გამოიცა ფრინველის გრიპის სახელმძღვანელო. ყოველივე ეს განკუთვნილია როგორც მეფრინველეობის ფერმებისა და იქ მომუშავე პერსონალისთვის, ისე მოსახლეობის ინფორმირებულობისთვისაც.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ის, რაც გაკეთდა და რაც გაკეთდება მომავალში, იძლევა უცილობელ გარანტიას, რომ საქართველო მომზადებული შეხვდება ფრინველის გრიპს (თუკი იქნება ასეთი შემთხვევა) და თავიდან აიცილებს მისგან გამოწვეულ პრობლემებს.

**ნაზი იმნაიშვილი**

# ეს იყო... ეს არის...

● ცინიზმი როგორ არ არის, როცა 9 მაისამდე უშელავათო ბრძოლას უცხადებენ ვეტერანთა საცოდავ შეღავათებს, – საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო სარგებლობას (ჯერჯერობით 20-თეთრიანი ღირებულების დროს), შერბილებულ კომუნალურ გადასახადებს



◎ 9 მაისის ექო

## მიტინგი მელიტონ ქანთარიას საფლავთან

**ფაშიზმზე** გამარჯვების 62 წლისთავი ზეიმით აღინიშნა ქალაქ ჯვარში, სამამულო ომის გმირის მელიტონ ქანთარიას ოდაბადეში, რომელმაც რაიხსტაგზე გამარჯვების წითელი დროშაააფრიალა.

ზეიმზე თავი მოიყარეს ჯვარელებმა, მეზობელი სოფლების წარმომადგენლებმა, იქ იყვნენ ზუგდიდელებიც, რომლებსაც წინ მიუძღოდა წარმოშობით ჯვარელი, მაგრამ ამჟამად ზუგდიდელი, ომში მიღებული ჯილდოებით მკერდდამშვენებული, ჯერაც საოცრად მხნე და ენერგიული ისაკ ქარდავა.

საზეიმო მიტინგი მელიტონ ქანთარიას საფლავთან გაიმართა. მიტინგის დამთავრების შემდეგ ადგილობრივი ძალებით გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოში ცნობილი ლოტბარის, ხელოვნების დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენოსნის პოლიკარპე ხუბულავას მხატვრულმა თვითშემოქმედებითმა კოლექტივმა.

შემდეგ ზეიმმა სოფელ ხუდონის ხოკოს უბანში გადაინაცვლა, სადაც აღმართულია სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი. ამის ინიციატორი და ორგანიზატორი ისაკ ქარდავა ბრძანდებოდა, რომელმაც დიდი სიყვარულით მიულოცა ზეიმის მონაწილეებს გამარჯვების 62 წლისთავი და ხაზი გაუსვა ქართველი გენერალსიმუსის უდიდეს დამსახურებას ამ დიდ გამარჯვებაში.

საინტერესო და სასიამოვნო იყო, რომ, სრულიად მოულოდნელად, ზეიმს შეუერთდნენ სტუმრები ისრაელიდან, რომლებმაც პოლიკარპე ხუბულავას გუნდთან ერთად აჩვენეს თავიანთი ეროვნული მხატვრული შემოქმედება.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ" საკ. კორ.**

◎ ფიქრები ნადღესასწაულევს

## „დღეო, გადიდდი, გადიდდი..."



**განა** არ ვიცი, ცოტა უხერხული რომაა მშობლიური გაზეთის შექება, მაგრამ თუ მართლაც „ცხრიანში" გარტყმად მეჩვენა 11 მაისის ნომრის ერთი პუბლიკაცია (რუბრიკით „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ!"), რატომ არ უნდა შემეძლოს ამის თქმა!

დიახ, იმ წერილში არაერთი ჩემი საცხრამაისო მწარე ფიქრიც დამხვდა და გუნებაში მიზანი და ზუსტი მოხვედრა შევუქე ავტორს. დღეო, გადიდდი, გადიდდი-მეთქი – ასე ვემუდარებოდი გულში 9 მაისს, წელიწადში ერთადერთ დღეს, როცა ხელისუფალთ ფრონტელები, ომის ვეტერანები ახსენდებათ (შრომის ვეტერანებს ეგ ერთიც არა აქვთ...).

მე ვეხვეწებოდი, იმ მამის შვილი, რომელმაც დიდი სამამულო ომის (ახლა რომ „აკადემიურად" მხოლოდ მეორე მსოფლიო ომად მოიხსენიებენ) ოთხი და მეტი წელი არმიაში და ფრონტზე გაატარა და შინ ნაჭრილობევი, ვალმოხდილი, საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. ვეხვეწებოდი მე, რომელსაც სკოლის დირექტორი ფრონტზე მარჯვენადაკარგული ჰყავდა, მაგრამ ცაციათიც მარჯვედ ახერხებდა „რეფორმას" – რკინის დიციპლინის დამყარებასა და, როცა ვიმსახურებდით, ჩვენს „დაქოთაკებასაც". იმ დირექტორის ხელში აღიზარდა არაერთი სახელოვანი ადამიანი, მაგალითად, პროფესორები კარლო ტაბატაძე, ალექსანდრე ქურდაძე, კარლო ქველაძე...

ვემუდარებოდი მე, ომის მიზეზით ბავშვობაგამწარებული თაობის წარმომადგენელი, ვინც სწორედ იმ ბავშვობაში შეისმინა და გაიგო ომის ვეტერანობის, ფრონტელობის ყადრი თუ ფასი.

არადა, ეს ყადრი და ფასი ვერ გაუაზრებიათ თბილისისა თუ უფრორე „ზემო" ხელისუფალთ. ცინიზმი როგორ არ არის, როცა 9 მაისამდე **უშელავათო** ბრძოლას უცხადებენ ვეტერანთა საცოდავ შეღავათებს, – საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო სარგებლობას (ჯერჯერობით 20-თეთრიანი ღირებულების დროს), შერბილებულ კომუნალურ გადასახადებს; როცა 9 მაისამდე მკაცრად იუწყებიან ყველაფრის გაორმაგება-გაძვირებას და მერე, გამარჯვების დღე რომ მოუკაკუნებთ, აფაცაფუცდებიან მუსიკით, ყვავილებით, დარბაზობებით, 100-100 ლარის ჩამორიგებით, ვეტერანთა მხრებზე მოთათუნებით, გადახვევით, ფურშეტით, პირმოთნეობითა და სიყალბით უშრეტით... ისე, ცოტა კომიკურად ხომ არ გამოიყურება დაცვის თანხლებით ფრონტელებთან თუ ნაფრონტალებთან მიახლება ძლიერთა ამა ქვეყნისა...

სხვა რა ეთქმის, თუ არა ცინიზმი, იმას, რომ უშუალოდ წინადღეს საკრებულო ერთსულოვნად, ერთხმად, ლამის „ვაშათი" იღებს გადაწყვეტილებას სამომსახურებო ფასების მკვეთრი გაზრდის შესახებ? რომ კარგი სიურპრიზი მოუმზადეს საცხრამაისოდ ომის ვეტერანებს? ისე, ძვირფასო საკრებულოელებო, იმ მომენტში რამდენი იყო თქვენი ხელფასი და მორიგ მომატებას როდის აპირებთ?..

ეგ კია, გამაოცა ზოგიერთი „შტრაიკბრეხერი" ვეტერანის გადაჭარბებულმა მადლობებმა და წალაპარაკებამ – მეტი რა უნდა ექნათო. მეტი ის უნდა ექნათ, ძვირფასო და დამსახურებულო ქალბატონო, რომ გამარჯვების დღეს კი არ უნდა მოემარჯვებინათ ერთჯერადი „შპრიცი" ას-ასი ლარის, დარბაზობებისა და ფურშეტების შეშხაპუნებით – არსებითი სიკეთე უნდა გაეღოთ, დიდსულოვანი ნაბიჯი უნდა გადაედგათ და თუ მეტრო-ავტობუსით უფასო მგზავრობა და საგადასახადო შეღავათები წინდაუხედავად, კადნიერად გაგიუქმეს, ეს უმძიმესი შეცდომა 9 მაისისთვის მაინც უნდა გამოესწორებინათ. ქვეყნის ბიუჯეტი შესამჩნევად გაიზარდაო! შევარცხვინე გადასახადების ულვთო მატებით, ყველაფრის გაყიდვით გაბერილი და ძლიერთა საგრიალოდ გამიზნული ბიუჯეტი! ვეტერანებო, თქვენი 20-თეთრიანი მგზავრობის დაფინანსება რომ არ ნებავთ და თვითონ ტონირებულმინებიანი „მერსედესებით" უფასოდ დასრიალებენ აღმა-დაღმა და სულაც არა სახალხო საქმეებზე, ეს როგორღაა ნეტავი!



**... კიდევ ერთი გამარჯვების დღე გადააგორეს ხელისუფალთა, ნაყალბევი და ნათვალთმაქცარი. გაისის 9 მაისამდე თავისუფალი ხართ, პატივცემულო ვეტერანებო, ოღონდ, ღმერთმა გაცოცხლოთ და, ყველა მიაღწევთ კი?...**

**თამაზ ებანოიძე**

◎ ინფორმაცია

### მინძაევმაც ამოიკნავლა

**სეპარატისტული** სამხრეთ ოსეთის ე.წ. შს მინისტრი მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ საქართველო კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაციით სარგებლობს და იქ სამხედრო კონტინგენტს ზრდის.

„ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ნიღბის ქვეშ, თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონის წარმომადგენლები შემოჰყავს", – აცხადებს მინძაევი და იქვე, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნას ბლოკადის მოხსნის შესახებ კომენტარს უკეთებს.

„ჩვენ ბლოკადა არ დაგვიწესებია. ჩვენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ის გზები გადავკეტეთ, რომლებიც საქართველოს დროებით აქვს ოკუპირებული," – ამბობს მიხეილ მინძაევი.

კოკოითის შს მინისტრი, ასევე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გზების გადაკეტვის შედეგად, 16 ოსური სოფელი ბლოკადაშია მოქცეული.

„დაკეტილია მხოლოდ ერთი გზა, რომელიც სამხრეთისაკენ მიდის. ის გზა 4 ქართულ სოფელზე გადის. დანარჩენი ყველა გზა გახნილია", – ამბობს მინძაევი და დასძენს, რომ ეს სიტუაცია უცვლელი დარჩება, ვიდრე საქართველო ე.წ. სამხრეთ ოსეთის „ხელისუფლების" მოთხოვნებს არ შეასრულებს.

„ჩვენ მოვითხოვთ, მოაცილონ ჩვენი ტერიტორიიდან დიმიტრი სანაკოევის მსგავსი მარიონეტები და მთელი ეს ცირკი, რომელსაც ე.წ. ალტერნატიული მთავრობა ეწოდება. ასევე მოვითხოვთ, საქართველოს გასამხედროებულმა სტრუქტურებმა ჩვენი ტერიტორია დაუყოვნებლივ დატოვონ," – ამბობს მინძაევი.

### გავიზიაროთ შვედების გამოცდილება?

**საქართველოს** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ღლონტი, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი არსოშვილი და ცენტრის 5 ლექტორი შვედეთში ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ვიზიტი შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და სასწავლო ცენტრის დახმარება" ფარგლებში განხორციელდა.

საქართველოს დელეგაციის წევრები მასპინძელი ქვეყნის ანალოგიური სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს გაეცნენ; დაათვალიერეს სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულება. ქართველმა და შვედმა კოლეგებმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც დასახეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ბაღაფში არძინბას დაბადების დღეს ულოცავს

**აფხაზეთის** დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა ვლადისლავ არძინბას დაბადების დღე პირადად მიულოცა.

ბაღაფშმა მას ჯანმრთელობა უსურვა და აღნიშნა, რომ „არძინბამ დიდი წვილი შეიტანა აფხაზეთის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში". ყოფილმა ე.წ. პრეზიდენტმა ბაღაფშს მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის.

ვლადისლავ არძინბას 65 წელი შეუსრულდა, იგი მძიმე ავადმყოფობის გამო რამდენიმე წელია, ლოგინად არის ჩავარდნილი.

**ინტერპრესნიუსი**

ახალგაზრდა გამომგონებელთა კონკურსი ორი წელია „ჩალლარის“ სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით ტარდება. წლეულს ამ ღონისძიებამ საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა




გზად მომავლისკენ

# საქართველოს პრეზიდენტმა ნორჩი გამომგონებლები დააჯილდოვა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად დააჯილდოვა ახალგაზრდა გამომგონებლების პირველი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები.**

ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა I საერთაშორისო კონკურსის დასკვნითი ნაწილი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.

კონკურსში 6 ქვეყნის 7-12 კლასის 56 მოსწავლე მონაწილეობდა. მათ წარმოადგინეს ნამუშევრები ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ინფორმატიკის და სხვა მეცნიერებებში.

თბილისში ახალგაზრდა გამომგონებლები ჩამოვიდნენ ინდონეზიიდან, თურქეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, ერაყიდან და სხვა ქვეყნებიდან.

მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალ წელს ახალგაზრდა გამომგონებელთა კონკურსში 30 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოში ნეიტრალურად განწყობილი ბევრი უცხოელი ჩამოდიოდა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ქართული კულტურითა და სამზარეულოთი აღფრთოვანებულები ტოვებდნენ. დღეს კი ჩვენს ქვეყანაში ის ადამიანები ჩამოდიან, რომლებიც ყველაზე მეტად განათლებასა და ინტელექტს აფასებენ.

ქვეყნის მომავალი ნიჭიერ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული, რომელთაც წახალისება სჭირდებათ. „მივესალმები ამ კეთილი ხალხისა და ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების მომრავლებას. ასევე მივესალმები იმ ფაქტს, რომ ბავშვების უმრავლესობა რეგიონებიდანაა. ყველაზე მეტი ფული და რესურსი განათლებაზე უნდა დაიხარჯოს, რადგან ქვეყანას არაფერი ისეთ შედეგს და ეფექტს არ აძლევს, როგორც განათლებული საზოგადოება. არაფერია ისე მნიშვნელოვანი, როგორც განათლებისა და ნიჭიერებისათვის ხელშეწყობა,“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

პირველ ადგილზე 15 ნორჩი გამომგონებელი გავიდა. რ. შაჰინის სახელობის ლიცეუმის მოსწავლემ **მარიამ კეკენაძემ** გაიმარჯვა პროექტით — **„საქართველოში გავრცელებული ხურმის ჯიშების ფიზიკო-ქიმიური შედგენილობის და მისი ცვლილებების განსაზღვრა,“** იმავე ლიცეუმის მოსწავლემ **თორნიკე ჯავახაძემ** — პროექტით — **„მზის ენერგიით მობილური ტელეფონის დატენვა,“** პირველ ადგილზე გავიდა მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლე **ალექსანდრე ონიაშვილი** — **„ტურბორეაქტიული ძრავით,“** ასევე დემირელის სახელობის კოლეჯის მოსწავლე **ნოდარ კანკავა** — **„არითმეტიკული სავარჯიშოებით,“** 43-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ **ანა გოგოლაძემ** წარმოადგინა პროექტი **„ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“**, ხოლო მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლემ **ტარიელ ინასარიძემ** — **„ავტომატური მინი-ინკუბატორი,“** მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლიდან **დავით აკობიამ** — **„თხილის შესაგროვებელი აპარატის“** პროექტის გამო გაიმარჯვა.



პირველ ადგილზე გავიდნენ, აგრეთვე, დემირელის სახელობის კოლეჯის მოსწავლე **გიორგი კოჭლამაზაშვილი, აკაკი ავალიანი** (ნიკო ნიკოლაძის სახელობის კოლეჯი), **ზაჰიდ ქედიმლი** (აზერბაიჯანი), **ასლან ნაგისანლი** (თურქეთი), **აზამათ შოთანბაევი** (ყაზახეთი), **ნატალია მასლი** (უკრაინა), **იბრაჰიმ აიბერქ იელქენი** (თურქეთი), **მუჰამად იუსუფ რიტონგა** (ინდონეზია), — მათ პროექტს **„ცუნამის დეტექტორი“** ერქვა.

ახალგაზრდა გამომგონებელთა კონკურსი ორი წელია **„ჩალლარის“ სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით ტარდება. წლეულს ამ ღონისძიებამ საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა.**

**ნატა ნიბლაძე**

პიროვნება

# საქართველოს ბუნების დაცვას შეწირული მეცნიერი



**ამ რამდენიმე დღის წინათ საგარეჯოში გამოჩენილი ქართველი ბიოლოგის, დენდროლოგისა და მცენარეთა პოპულაციის უბადლო ოსტატის, პროფესორ სოლომონ ქურდიანის ძეგლი გაიხსნა.**

საოცარი ბედის კაცი იყო ივანე ჯავახიშვილის თაობის ღირსეული წარმომადგენელი, უმწიკვლო მეცნიერი და ქართული ბუნების დიდი ქომაგი სოლომონ ქურდიანი.

საგარეჯოში, საეკლესიო მოღვაწის ზაქარია ქურდიანის ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ბიჭი 20 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა პოლონეთის ქალაქ პულავის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. აქ შექმნა მან მსოფლიოში პირველი სახელმძღვანელო დენდროლოგიაში, რომელსაც, სპეციალისტების აღიარებით, დღესაც არ დაუკარგავს პრაქტიკულ-მეცნიერული ღირებულება. 1918 წელს სწორედ ივანე ჯავახიშვილის მოწვევით სოლომონი საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება დედაუნივერსიტეტის დაარსების ეროვნულ მოძრაობაში. ერთ წელიწადში მან უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტი ჩამოაყალიბა. რა თქმა უნდა, ფაკულტეტზე სატყეო განყოფილება-სპეციალობაც შექმნა, 1930 წელს კი, ფაკულტეტის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1933 წელს სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი დააარსა.

სპეციალისტების ნაკლებობის გამო სოლომონ ქურდიანი ყველა საბუნებისმეტყველო საგანს თვითონვე კითხულობდა. ღამეებს ათენებდა მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების და სატყეო ენციკლოპედიის შესაქმნელად. ჩინებულად ფლობდა უცხო ენებს და თარგმნიდა საგანმანათლებლო ლიტერატურას.

ამ ღვთისნიერმა კაცმა დააარსა ბიჭვინთის, ბაწარის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ელდარის, ნაღვარევის, მარიამჯვრის (დღეს მის სახელს ატარებს) ნაკრძალები.

1931 წელს საკავშირო მთავრობამ მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის ტყეები ერთ საექსპლოატაციო ზონად გამოაცხადა. სოლომონ ქურდიანმა მეცნიერული კეთილსინდისიერებით და დამაჯერებლობით შეუტია ამ მავნებლურ გადაწყვეტილებას — **რუსეთის ტაიგის მსგავსად მთიანი საქართველოს ტყეების ჭრა მეწყერებს, ღვარცოფებს და ეროზიას გამოიწვევსო! ისემც ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ბუნებრივმა ეკოკატასტროფებმა, მომდევნო წლებში, ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს ქურდიანის აზრის სისწორე.**

მეცნიერის თვალთახედვას ბოლშევიკები, რა თქმა უნდა, ყურს არ უგდებდნენ. სოლომონ ქურდიანი საჯარო კრიტიკულ გამოსვლებს აგრძელებდა... დადგა 1937 წელი. ღვაწლმოსილი მეცნიერი დააპატიმრეს, უმოწყალოდ აწამეს და დაპატიმრებიდან მესამე დღეს დახვრიტეს.

მისი საფლავი დღესაც უცნობია!

20 წლის შემდეგ გაირკვა, რომ სუკის აგენტებმა სოლომონს ვერა და ვერ მოაწერინეს ხელი კოლეგა მეცნიერების წინააღმდეგ ცრუ ბრალდებებზე. ხანდაზმული მაგრამ რაინდული სულისა და გარეგნობის კაცი წმინდანივით სასტიკად ნაწამები აღესრულა!

1986 წელს პოლონელმა მეცნიერებმა იპოვეს ქურდიანის რამდენიმე ხელნაწერი. ათეული წლების განმავლობაში დაკარგული ეს ხელნაწერები თვალნათლივ ამტკიცებდნენ, რომ სოლომონმა დროს გაუსწრო და მსოფლიოში სელექციის პიონერის სახელი დაიმკვიდრა.

საგარეჯოში, დიდი მეცნიერის ძეგლის გახსნაზე წაიკითხეს ამერიკის ქალაქ მინესოტის უნივერსიტეტში დღეს მოღვაწე პოლონელი პროფესორის იაცეკ ოლექსინის წერილი, რომელიც ქართველი მეცნიერის მსოფლიო სახელს, პოლონელი ხალხის გულში კი მის დაუვიწყარ ხსოვნას ადასტურებს. ამ ცოტა ხნის წინათ, პოლონელებს მემორიალური დაფა გაუკრავთ იმ ინსტიტუტის კედლებზე, სადაც სოლომონ ქურდიანი მოღვაწეობდა და მაშინ, სრულიად ახალგაზრდა, ინსტიტუტის გარშემო დენდროლოგიურ პარკს აშენებდა. ეს პარკი დღესაც ერთ-ერთი ულამაზესი ყოფილა პოლონეთში!



**სოლომონმა თბილისში, ვერაზეც გააშენა უნიკალური დენდროპარკი, რომელიც უმოწყალოდ გავანადგურეთ და შიგ მრავალსართულიანი სახლები ჩავდგით!**

**ასე ვუფრთხილდებით უძვირფასეს მემკვიდრეობას და დედაქალაქის ცენტრის ეკოსისტემას!**

საგარეჯოში ძეგლის გახსნის შთამბეჭდავ ცერემონიალზე სიტყვებით გამოვიდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გარსევან ბუხნიკაშვილი, აკადემიკოსი გიორგი გიგაური, პროფესორები შალვა აფციაური, გიორგი ჭყონია, თენგიზ ჯაფარიძე, ანზორ ჩაფიძე, მეცნიერის შვილიშვილი მიკა ლომიძე. დიდი მეცნიერისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა გოგი სიხარულიძემ.

საგარეჯოელებს დოელსტაუნიდან (აშშ) მოეფერა ცნობილი მხატვარი და პოეტი, მეცნიერის კიდევ ერთი შთამომავალი ნიკო ჩოჩელი.

სოლომონ ქურდიანის ძეგლის ავტორია ჩვენი ცნობილი მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია, არქიტექტორი — კახა კავთუაშვილი.

**მადლიერმა გარეჯელებმა და მეცნიერის შთამომავლებმა საქართველოს ბუნების, ქართული ცნობიერების დაცვას შეწირული კაცის სახე ქვაში გააცოცხლეს.**

**სპარტაკ ქოზულია,**
**საგარეჯო-თბილისი.**

**სურათებზე:** სოლომონ ქურდიანი; დიდი მეცნიერის ძეგლი საგარეჯოში.

№ 92. ორშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

● ბალაფში სიტუაციის მძევალია. საბოლოო ანგარიშით, იგი მოექცა ჩიხში, რომლიდანაც თავის დაღწევა ძალზე გაუჭირდება



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შერიგების შანსი კვლავ რჩება

*თეიმურაზ მჟავია დაიბადა 1952 წელს ქალაქ სოხუმში, ეროვნებით ქართველია. დაასრულა სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1991 წელს იგი აირჩიეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1993 წლიდან კი მუშაობს თბილისში. 2004 წელს აირჩიეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ჰყავს ცოლი და ორი შვილი.*

*აფხაზეთში არიან ძალები, რომლებმაც დროთა განმავლობაში შეიძლება მოახდინონ გავლენა სოხუმის ამჟამინდელი ხელისუფლების კურსზე და გამონახონ საერთო ენა თბილისთან. ამაზე, აგრეთვე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში არსებულ ვითარებასა და ორი ხალხის შერიგების გზებზე „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტს ესაუბრა თბილისში მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე თეიმურაზ მჟავია.*

**— უკვე თითქმის 14 წელია, რაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და დევნილი მთავრობა მუშაობს თბილისში. რა აზრი აქვს ასეთ მუშაობას — აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით?**

— მოდით, ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ ჩვენ ვართ აფხაზეთის კონსტიტუციური, და მაშასადამე, ლეგიტიმური ხელისუფლება — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სრულიად სახალხო არჩევნების შედეგად აირჩიეს 1991 წელს, ჯერ კიდევ შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამდე. იმ არჩევნების შედეგები არავის გაუუქმებია, ყველა სხვა კენჭისყრას კი, რომელიც პერმანენტულად იმართებოდა აფხაზეთში 1992-93 წლების ომის შემდეგ, მსოფლიოში, არავინ ცნობს. ჩვენი მხრივ, 1991 წლის შემდეგ არანაირი არჩევნები არ გაგვიმართავს, ვმუშაობთ იმავე შემადგენლობით — 26 დეპუტატი. და ვიმუშავებთ მანამ, სანამ შემოერთებული აფხაზეთის საზოგადოება აირჩევს ახალ საკანონმდებლო ორგანოს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი მუშაობის უმთავრესი ამოცანაა ის, რომ შევინარჩუნოთ ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერად არჩეული ხელისუფლების ორგანოების საკონსტიტუციო, სამართლებრივი მემკვიდრეობითობა. ჯერჯერობით კი ჩვენი მთავრობა (ეს ოთხი სამინისტროა — ეკონომიკის, ფინანსთა, განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის) საქართველოს ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან ერთად მუშაობს იმ 200 ათასზე მეტი ლტოლვილის პრობლემების გადასაჭრელად, რომლებმაც იძულებით დატოვეს მშობლიური კერები 1992-93 წლების ომის შემდეგ.

**— შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ ლეგიტიმურობასა და სამართალმემკვიდრეობაზე, მაგრამ ვერც თქვენი უმაღლესი საბჭო და ვერც ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობა, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისგან განსხვავებით, ვერ მონაწილეობენ მოლაპარაკების პროცესში...**

— ამ პროცესში ჩვენ ნამდვილად არ ვართ ჩაბმული. ეს არის როგორც საქართველოს წინანდელი ხელისუფლების — ვგულისხმობთ ედუარდ შევარდნაძის პერიოდს — ისე იმ პოზიციის „დამსახურება“, რომელიც ამ წლების განმავლობაში უკავია რუსეთის ფედერაციას. და ამ პოზიციაში ცვლილებები ჯერჯერობით არ ჩანს. თქვენ, ალბათ, გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებამ აფხაზეთის ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანოების კოდორის ხეობაში გადაყვანის შესახებ მარტო ჩვენი სოხუმელი ოპონენტების გალიზიანება როდი გამოიწვია — ამ გადაწყვეტილებას მოსკოვის მხრიდან მოჰყვა მწვავე, თითქმის ისტერიკაში გადასული რეაქცია. შესაძლოა, ეს მოხდა იმიტომ, რომ ომის შემდგომ წლებში იქ რუსეთს ჩამოუყალიბდა გარკვეული ქონებრივი ინტერესები და მათი გაწირვა მოსკოვს ნამდვილად არ სურს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფორმალურად აღიარებული პრინციპის გამო.

**— პირადად თქვენ თუ გწამთ, რომ გაჭიანურებული სამშვიდობო პროცესი, საბოლოო ანგარიშით მოიტანს შედეგს და აფხაზეთი ახალი ომის გარეშე დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში? ან იქნებ, მართალს ამბობდა ამ პოსტზე თქვენი ერთ-ერთი წინამორბედი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მოლაპარაკების პროცესი არის ჩიხი, და რომ ომით დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება მხოლოდ ომით არის შესაძლებელი?**

— ახალ ომს არანაირი აზრი არა აქვს, იგი მხოლოდ ახალ სისხლისღვრას მოიტანს, დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვაქვს შერიგების შანსი და იგი უნდა გამოვიყენოთ. ამისთვის საჭიროა უშუალო მოლაპარაკება სადღეისოდ ორად გახლეჩილი აფხაზეთის საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. ჩვენი აფხაზი ოპონენტების წარმომადგენლებთან უკვე გამართული შეხვედრები მოწმობს, რომ შევძლებთ მორიგების მიღწევას. საჭიროა პატიოსანი, გულახდილი დიალოგი — აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სხვა რეალური საშუალება არ არსებობს. მთავარია, ამ საქმეში ხელი არ შეგვიშალონ. მაგრამ ასეთი დიალოგით არ არიან დაინტერესებული მოსკოვში. და ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ არ არსებობს არანაირი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ, არა მარტო რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არამედ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებიც. აქ საქმე გვაქვს სულ სხვა რამესთან, უფრო სერიოზულთან — აფხაზეთის გამო რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტთან. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა დაჟინებით მოითხოვს, რომ სწორედ ასეთი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მიეცეს საქართველოს ტერიტორიის ამ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს.

**— თავის დროზე თბილისში გამოთქვამდნენ იმედს, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში დაისახებოდა რაღაც პროგრესი თვითაღიარებული რესპუბლიკის პოსტზე სერგეი ბალაფშის არჩევის შემდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, არაფერი შეცვლილა...**

— ბალაფში სიტუაციის მძევალია. საბოლოო ანგარიშით, იგი მოექცა ჩიხში, რომლიდანაც თავის დაღწევა ძალზე გაუჭირდება.

**— გამოდის, რომ ძალები, რომლებსაც შეეძლებათ შეცვალონ სოხუმის ამჟამინდელი ხელისუფლების კურსი, აფხაზეთში არ არსებობენ. მაშ, ვისზე ამყარებთ იმედებს, როცა შესაძლო შერიგებაზე ლაპარაკობთ.**

— ასეთი ძალები აფხაზურ საზოგადოებაში მაინც მოიძებნებიან. მაგრამ სჭირდება დრო მათ ამოქმედებას. თუ მოლაპარაკების პროცესში რეალურად გამოჩნდება გარკვეული პლურალიზმი, ეს ძალები უთუოდ გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. ამ მიმართულებით გარკვეულ ნაბიჯებს ამზადებს ჩვენი უმაღლესი საბჭოც. ძალზე მალე დავუმტკიცებთ სოხუმსა და მოსკოვს, რომ ვართ არა „ეგრეთ წოდებული“,..არამედ ავტონომიური რესპუბლიკის რეალური ხელისუფლება. კერძოდ ვაპირებთ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში დავსვათ მოლაპარაკების პროცესის ამჟამინდელი ფორმატის გაფართოებისა და მასში ჩვენი წარმომადგენლების ჩაბმის საკითხი.

**— ხომ არ არის დასაშვები აფხაზეთთან მიმართებაში კოსოვოს ვარიანტის გამოყენება, რაზეც ამ ბოლო ხანებში ხშირად ლაპარაკობენ მოსკოვში?**

— ჩვენი აზრით, ეს სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ხელმძღვანელობის „ნერვებზე თამაში“. კოსოვოს პრეცედენტი აფხაზეთში არ მოხდება. სხვათა შორის, არც იმის ზედმეტად დრამატიზება ღირს, რომ ნატოში გაწევრებისთვის აღებულმა კურსმა შეიძლება შეუშალოს ხელი საქართველოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში. ეს, როგორც ამბობენ, ორი ცალკე ისტორიაა. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი: აფხაზეთს ნამდვილად დავიბრუნებთ. სოხუმში ჩემი სახლი გადარჩა, თუმცა ახლა იქ სხვა ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ, როგორც მითხრეს, სახლს ისინი სათანადოდ უვლიან. დავბრუნდები და, როგორც ეს ნამდვილ სოხუმელებს სჩვევიათ, დიდ მადლობას გადავუხდი ამ ადამიანებს.

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# „საქართველო თავს ევროპული სისტემის ნაწილად მიიჩნევს“

**რუსი დიპლომატები ალაპარაკდნენ საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გაცემის და ჩვენს ქვეყნებს შორის საავიაციო მიმოსვლის აღდგენის პრობლემების შესახებ კონსულტაციების განახლების თაობაზე. გასული წლის შემოდგომაზე, თბილისში ჯაშუშობის ბრალდებით ოთხი რუსი ოფიცრის დაკავების შემდეგ დაწყებული კორიზისი ძალზე გაჭიანურდა. მაგრამ, ედუარდ შევარდნაძის პერიოდშიც ორი ქვეყნის ურთიერთობა საკმაოდ რთული იყო. საქართველოს სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორმა ირაკლი მენაღარიშვილმა, რომელიც 1995-2003 წლებში ხელმძღვანელობდა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, „ვრემია ნოვოსტის“ კორესპონდენტთან საუბრისას ილაპარაკა იმაზე, რაც უშლის ხელს დაახლოვებაში ორ მეზობელ სახელმწიფოს.**

— თბილისში ხშირად ლაპარაკობენ, რომ არსებობს მენტალური შეუთავსებლობა რუსეთსა და საქართველოს შორის...

— მე არ ვეთანხმები საკითხის ასე დასმას. წმინდა ადამიანურ დონეზე რუსეთთან პრობლემები არ გვაქვს. მაგრამ საქართველო თავს მიიჩნევს ევროატლანტიკური უშიშროების სისტემის, ევროპულ ღირებულებათა სისტემის ნაწილად, რუსეთი კი საქართველოს კვლავ უყურებს როგორც ყოფილი იმპერიის ნაწილს, თავის ინტერესებისა და საგანგებო უფლებების ზონას. რუსეთში ზოგიერთებს უჭირთ შეეგუონ იმ აზრს, რომ ყოფილი იმპერიის ნაწილები სუვერენული სახელმწიფოები გახდნენ.

**— ედუარდ შევარდნაძის მმართველობის წლებში მრავალი პრობლემა არსებობდა მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობაში. თქვენი აზრით, რომელი კრიზისი იყო ყველაზე ღრმა?**

— 1999 წლის დამლევის კრიზისი უკავშირდებოდა პანკისის ხეობას. მაშინ გაჩაღებული იყო მეორე ჩეჩნეთის კამპანია, რუსეთის ხელმძღვანელობამ მოგვმართა წინადადებით, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით ჩეჩნეთის საზღრისკენ გაგვეტარებინა მისი ჯარები, რათა ალყაში მოექციათ ჩეჩენთა რაზმები. ერთი სიტყვით, საქმე ეხებოდა მეზობელი სახელმწიფოს მიერ ჩვენს ტერიტორიაზე საჯარისო ოპერაციების განხორციელებას. ჩვენ ეს დაუშვებლად მივიჩნიეთ, რადგან ამით საქართველო შეიძლება ჩათრეულიყო კავკასიის დიდ ომში. ჩვენს უარს მოსკოვის მხრიდან აგრესიული რეაქცია მოჰყვა. ხორციელდებოდა საავიაციო რეიდები პანკისის ხეობაში, იბომბებოდა საქართველოს ტერიტორია. მაშინ, დაბომბვას ერთი მშვიდობიანი მცხოვრებიც შეეწირა. რუსეთი არ აღიარებდა, რომ ეს მისი თვითმფრინავები იყო. კრიზისის მოგვარებაში დაგვეხმარა საერთაშორისო გაერთიანება. ამერიკელმა მეგობრებმა დაიწყეს ჩვენი სპეციალური დანიშნეულების რაზმების გაწრთვნა, რომლებსაც შეეძლოთ აღეკვეთათ საქართველოში ჩეჩენი მოთარეშეების შემოღწევა.

**— ამის შემდეგ თბილისმა აღიარა, რომ ხეობას მართლაც აფარებდა თავს ათასამდე მოთარეშე. როგორ შეძელით ამ ადამიანების დაყოლიება, დაეტოვებინათ პანკისის ხეობა?**

— რაც შეეხება მოთარეშეთა რიცხვს, ამ კითხვით უნდა მომართოთ არა მე, არამედ — სპეცსამსახურებს. ვფიქრობ, რომ ჩეჩენმა მოთარეშეებმა ჩვენი ტერიტორია დატოვეს მაშინ, როცა იგრძნეს, რომ ამას კატეგორიულად მოითხოვდა საქართველო. სხვათა შორის, რუსები ცდილობდნენ რუსლან გელაევზე გასვლას, რომელიც პანკისის ხეობას აფარებდა თავს. გვთხოვეს, დაგვემყარებინა მასთან კონტაქტი. არ ვიცი, რისთვის სჭირდებოდათ ეს. შესაძლოა, ეს იყო რაღაც სპეციალური გეგმის ნაწილი. ჩვენს სპეცსამსახურებს შორის კონტაქტები რეგულარული იყო. რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე თითქმის სულ საქართველოში იმყოფებოდა.

**— მაგრამ საქართველოსაც მიუძღვის ბრალი, ხან აცხადებდნენ, რომ პანკისში არ არიან მოთარეშეები, ხანაც კი აღნიშნავდნენ, რომ იქ ასობით კაცი იყო. 2001 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მოულოდნელად გაუხსნა გელაევს დერეფანი აფხაზეთის კოდორის ხეობისკენ, რაც ნეგატიურად აისახა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაზე.**

— მე არანაირად არ ვამართლებ გელაევისა და მისი ჯგუფის რეიდს ზემო აფხაზეთში. ეს ჩემთვის გაუგებარი იყო.

**— როგორი ურთიერთობა გქონდათ რუს პარტნიორებთან?**

— მე მომიწია მუშაობა ჯერ პრიმაკოვთან, შემდეგ კი ივანოვთანაც. გვქონდა არა მარტო სასამსახურო, არამედ პირადი კონტაქტებიც. ეს ორივე მინისტრი დაკავშირებული იყო საქართველოსთან. ივანოვს დედა ქართველი ჰყავს, პრიმაკოვი კი, საერთოდ, თბილისში იზრდებოდა. ეს ხელს უწყობდა ჩვენს ურთიერთობას.

**— საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობისას რომელი მოვლენები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— გამოვყოფდი საქართველოს შესვლას ევროპის საბჭოში 1990 წელს. ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ წლებს დაემთხვა სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, ტერაქტები, ეკონომიკის ნგრევა, და აი, ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს იწვევენ ევროპის საბჭოს რიგებში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც მოახდინა გავლენა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე. მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს მივაკუთვნებდი აგრეთვე 2002 წელს შევარდნაძის გამოსვლას ნატოს პრაღის სამიტზე. ამან განსაზღვრა საქართველოს სტრატეგიული არჩევანი. მაშინ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველო ესწრაფვის ნატოში გაწევრებას. ახლა ყოველივე ამაზე ძალზე ადვილად ვლაპარაკობთ, და გვავიწყდება, რომ ასეთი გადაწყვეტილება ერთბაშად არ მიუღიათ.

**— პრაღის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის სამიტი, რომელზეც რუსეთი დათანხმდა საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზების გატანას. როგორც ამბობენ, მაშინ გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რუსეთის დელეგაციის მრავალი წევრის წინააღმდეგობის მიუხედავად.**

— სტამბოლის სამიტზე გადაწყვეტილების მიღების დროს თუ რა როლი შეასრულა ელცინმა, ამაზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. დასაშვებია, რომ რუსეთის დალაგეციის წევრთა მოსაზრებები ამ საკითხზე დიამეტრულად განსხვავებული იყო. მოლაპარაკება საკმაოდ დაძაბული გამოდგა. რუსეთის სამხედრო ელიტა ეწინააღმდეგებოდა ბაზების გატანას, და ჩვენ მოგვიწია იმის მტკიცება, რომ ეს საკითხი ჩვენს ნაცვლად სხვამ არ უნდა გადაწყვიტოს. ბაზები მხოლოდ დამატებითი გამღიზიანებლებია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, რადგან სხვა როლს ისინი უკვე აღარ ასრულებდნენ. იმედი მაქვს, რომ 2008 წელს ბაზების გატანის პროცესის დასრულების შემდეგ, ჩვენს ურთიერთობაში ნაკლები გამღიზიანებელი ფაქტორი დარჩება.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

№ 32. ოთხშაბათი. 16 მაისი. 2007 წელი.

# სხვადასხვა

● აბა, მიმოიხედეთ, უმალ დარწმუნდებით, თუ როგორ ირღვევა ათადან-ბაბადან დამკვიდრებული სწორმეტყველებისა თუ მართლწერის დაწერილი ან დაუწერელი კანონები

ეროვნული ბიბლიოთეკა



◉ რა ენა წახდეს...

## მრავლობითის მრავლობითი?!

**ჩვენს ქვეყანაში მშობლიური ენის, ანუ დედა ქართულის სიწმინდის დაცვას რომ ყურადღება აღარ ექცევა, უდავოა. ქართული ენის სახელმწიფო პალატაც კი გააუქმეს, ვისაც, სწორედ რომ, ხელეწიფებოდა ეს დიდი საქვეყნო საქმე. შესაძლოა, ზოგ-ზოგს ღია კარის მტვრევადაც ეჩვენებოდეს ჩვენი ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ, აბა, მიმოიხედეთ, უმალ დარწმუნდებით, თუ როგორ ირღვევა ათადან-ბაბადან დამკვიდრებული სწორმეტყველებისა თუ მართლწერის დაწერილი ან დაუწერელი კანონები. ეს განსაკუთრებით ეხება ძალზე მომრავლებულ რეკლამასაც და ჩვენი ქვეყნის თავკაცების საჯარო გამოსვლებსაც, და კიდევ, რეკლამის შესახებ კანონის დარღვევით უცხო ენაზე შესრულებულ აბრა-რეკლამებსაც და თეატრალური ან მუსიკალური ღონისძიებების აფიშებსაც, კაცი რომ ვერ გაიგებს, თუ სად, როდის და რისთვის გეპატიჟებიან.**

ასეთ „აგრესიულ“ გუნებაზე დამაყენა წერეთლის პროსპექტზე (თუ გამზირზე), დიდუბის ეკლესიის (მისი მადლი შეგეწიოთ!) ცოტა ქვემოთ არსებული მაღაზიის „ლამაზი იატაკის“ ფანჯრებზე სარეკლამო წარწერებმა. ერთ-ერთ მათგანზე მსხვილი ასოებით აწერია „რკინის კარები“. ელემენტარული გრამატიკის მცოდნემაც კი უნდა იცოდეს, რომ იწერება ან ითქმის „რკინის კარი“. თვით ძველებურ ქართულ სიმღერებშიც კი ეს წესი დაცულია.

**„მასპინძელო, მხიარულო, მარნის კარი გიჭრიალებს“**, ან კიდევ:

**„ამაღამ შენთან მოვდივარ, კარი დატოვე ღიაო“** და ა. შ... მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მაღაზიის მესვეურთ „კარები“ ეცოტავათ და იქვე გვერდზე ისევ დიდად მიაწერეს „ამერიკული კარებები“. ეს გრამატიკის ახალი ფორმა – მრავლობითის მრავლობითია?!

ამ სავაჭრო დაწესებულების პატრონებისადმი არავითარი ქვენა გრძნობები არ გვამოძრავებს. მათ კი არა, გრამატიკულად ერთობ გამობრძმედილთაც კი უნებლიეთ მოსდით ასეთი შეცდომა.

ალბათ გახსოვთ, მწერალთა კავშირში ერთ-ერთ სხდომაზე ბატონმა ბესო ჟღენტმა, ქართულის უცოდინარობას რომ ვერ დასწამებდით, ასე მოიხსენია მწერალთა ერთი ჯგუფი – „აქ, ამ დარბაზში ზიან... ა. შ.“ რასაც უმალ მოჰყვა რეპლიკა დარბაზიდან, „ბატონო ბესო, კი არ ზიან, სხედანო“. ჭკუა და ენამახვილმა ბესომ არ დააყოვნა და უპასუხა: „დიახ, მეც მაგას არ ვამბობდი, ამ დარბაზში სხედან და ზიანს აყენებენ ქართულ მწერლობასო“.

ბატონი ბესოსი რა მოგახსენოთ და, დღეს ჩვენი ტელეეკრანებიდან და რადიოეთერშიც (ვერც ერთს გამოვყოფ) სისტემატურად ისმის „ზიან“-იც, „ვინებიც“ და მასზე უარესებიც. აღარაფერი რომ ვთქვათ დედაქალაქში მომრავლებულ „კროკოზე“, „სლოიტ კლუბზე“, „ფაქტორ სერვისზე“, „დოლარ სტორზე“ და სხვა უამრავ მისთანაზე, კანონის მიუხედავად, ქართული განმარტება რომ არ ახლავს, თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ დანერგილ „ტრენინგებზე“, „კასტინგებზე“, „ლაითსა“ და ა. შ.

ზოგიერთმა შესაძლოა, სასაცილოდაც მიიჩნიოს, ასეთ გაჭირვებულ ცხოვრებაში ეს რა სალაპარაკოაო, ასეთმა „უნებლიე“ შეცდომამ თუ შეცოდებამ რა ზიანი უნდა მიაყენოს მშობლიურ ენასო. სამწუხაროდ, დიდი რღვევა სწორედ ასეთი მცირედით იწყება და დედაენის შეუღლახველობის კარიც ადვილად შეინგრევა!

**ვალიკო სიმონიშვილი**

◉ კონტაქტები

***საქველმოქმედო ფონდის SOCO-ს, რომელსაც ქვეყნის პირველი ლედი ქალბატონი სანდრა რულოვსი ხელმძღვანელობს, და ქართული ტრადიციული მედიცინისა და ჰომეოპათიის ლიგის ინიციატივით თბილისში იმყოფებოდნენ ჰოლანდიური ორგანიზაციის „ჰომეოპათია საზღვრებს გარეშე“-ს პრეზიდენტი ინი ბეტჰაუერი და ფსიქოთერაპევტი ვან დერ საარი. მათი ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ორწლიანი სწავლების კურსების ჩატარება ექიმებისთვის, რომლებიც მუშაობენ ლტოლვილებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებში. კურსების ძირითადი თემაა – „პოსტტრავმატული სინდრომის ჰომეოპატიური და ფსიქოთერაპიული კომპლექსური მკურნალობა“.***



თორნიკე ალაშვილი

## ჰომეოპათია საზღვრებს გარეშე

– ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტების ვიზიტი საქართველოში არ არის პირველი, ის დიდ დახმარებას გაგვიწევს ჩვენს შემდგომ მოღვაწეობაში, – ამბობს ქართული ტრადიციული მედიცინისა და ჰომეოპათიის ლიგის პრეზიდენტი თორნიკე ალაშვილი. – დასახულია მოქმედების ვრცელი პროგრამა, რომელიც კერძოდ მოიცავს ექიმჰომეოპათთა, ფარმაცევტთა მომზადებას, ოჯახის ექიმთათვის ჰომეოპათიის საფუძვლების უფასო სწავლებას ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური პროგრამის ფარგლებში. საერთაშორისო კავშირების გაფართოება და გაძლიერება, მათ შორის ჰოლანდიელ სპეციალისტებთან, ხელს შეგვიწყობს, უკეთესად და უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ მთელი საქართველოს მასშტაბით ჰომეოპათიის უდიდესი შესაძლებლობები სხვადასხვა დაავადების მკურნალობისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესი ჰომეოპათიისა და ტრადიციული ქართული მედიცინის მიმართ ბოლო ხანებში საგრძნობლად იზრდება და ფართოვდება. ჰომეპათია დღეს – ეს განსაკუთრებული მიმართულებაა წამლისეული თერაპიისა, რომელიც დაახლოებით ორასი წლის წინათ შემოგვთავაზა თავის დროზე ცნობილმა გერმანელმა ექიმმა და ფარმაცევტმა სამუელ ჰანემანმა. ის ემყარება პრინციპს: ვუმკურნალოთ არა დაავადებას, არამედ პაციენტს!

ჰომეოპათიის ძირითადი ღირსებაა მისი მაღალი ეფექტიანობა. ხშირად ჰომეოპათიას მიმართავენ პაციენტები იმ შემთხვევაში, როცა სამეცნიერო თერაპია უძლური ხდება. ჰომეოპათიური წამლებით შესაძლებელია ისეთი დაავადებების მკურნალობა, როგორიცაა მასტოპათია, საშვილოსნოს ფიბრომა, კლიმაქსი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, ანურეზი, ათეროსკლეროზი, ვირუსული გრიპი, ბოტკინის დაავადების შედეგები, ეგზემა, პროსტატიტი, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ცისტიტი, ტრომბოფლებიტი, სახსრების ქრონიკული დაავადებები და სხვა. ეს პრეპარატები არ იწვევენ ორგანიზმში გვერდით მოვლენებს. მათი მოქმედების ძირითადი მექანიზმი ის არის, რომ იწვევს ორგანიზმის ბუნებრივი დაცვით-აღდგენითი ძალების გამოცოცხლებას, მათ შორის იმუნურისაც. ჰომეოპათიური წამლების დამზადებისას იხარჯება პირველადი სუბსტანციის ძალიან მცირე რაოდენობა. ამით განისაზღვრება მათი იაფობა. რაც შეეხება მათი შენახვის ვადას, გამოცდილება მოწმობს, რომ ის ხანგრძლივია ჩვეულებრივ სამკურნალო პრეპარატებთან შედარებით.

როგორც თორნიკე ალაშვილი აღნიშნავს, ჰომეოპათიას ძალუძს, გვიჩვენოს სწრაფი მოქმედების შესანიშნავი მაგალითები. თუ ჰომეოპათიური წამალი სწორადაა შერჩეული ექიმ-სპეციალისტის მიერ, ტკივილის შემოტევა გაივლის რამდენიმე საათში, ვირუსული გრიპის მკურნალობა კი გაგრძელდება მხოლოდ ერთი კვირა. დასკვნები ჰომეოპათიის დადებით ზემოქმედებაზე ძირითადად ეყრდნობა პაციენტთა და ექიმთა მონაცემებს.

მკურნალობის კლასიკური ჰომეპათიური მეთოდი შეიცავს პაციენტის მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლას, სწორედ პაციენტისა და არა დაავადებისა. ბავშვებმაც, მოზრდილებმაც და ხანშიშესულებმაც უნდა იცოდნენ, რომ ჰომეოპათიური პრეპარატები ძალიან მცირე ზომებისაა. და ისინი შეიცავენ მხოლოდ მცენარეული, მინერალური და ცხოველისეული წარმოშობის ნივთიერებებს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჰომეოპათიისა და ტრადიციული მედიცინის ქართული ლიგა თავის რიგებში აერთიანებს სახალხო მედიცინეს მცოდნეებსა და ექიმებს, მეცნიერებს, ჰომეოპათებს. პირველი დახმარების გაწევისათვის ის ურჩევს ავადმყოფს, იქონიოს სახლში მცირე საოჯახო აფთიაქი. შენახვის სწორი წესების დაცვისას ჰომეპათიურმა პრეპარატებმა ეფექტურობა შეიძლება შეინარჩუნონ ხუთი წლის განავლობაში. ისინი უნდა შევინახოთ გრილ, ბნელ, და მშრალ ადგილზე ჰერმეტულ ჭურჭელში რაც შეიძლება შორს ძლიერი სუნის მქონე ნივთიერებებისგან.

**მამია ალანია**

◉ სენსაცია

## ნეტავ მეორე დედამიწას მიაგნეს?

### ასტრონომებმა სიცოცხლისათვის გამოსადეგი პლანეტა აღმოაჩინეს, ეგებ დასახლებულიც

**დედამიწის მსგავს, ჯერჯერობით უსახელო პლანეტას მიაგნო 11 ასტრონომისგან შემდგარმა საერთაშორისო ჯგუფმა, რომელიც ჩილეში მუშაობდა ევროპის სამხრეთ ობსერვატორიის ერთ-ერთ ტელესკოპზე. აღმოჩენის შედეგები ჯერ არც გამოუქვეყნებიათ, თუმცა მასალები უკვე წარუდგინეს ავტორიტეტულ ჟურნალს „ასტრონომია და ასტროფიზიკა“ (ინგლისურენოვანი).**

– საშუალო ტემპერატურა იქ 20 გრადუსია, როგორც ნიუ-იორკში, – ამბობს გამოკვლევის ხელმძღვანელი, ჟენევის ობსერვატორიის პროფესორი სტეფან უდრი, – რაც სავსებით შესაფერის პირობებს ქმნის ნორმალური სიცოცხლისათვის.



უსახელო პლანეტას მხოლოდ ნომერი მიაკუთვნეს – 581 c. სამაგიეროდ სახელი აქვს იმ ვარსკვლავს, რომლის გვერდითაც პლანეტა ბრუნავს – Gliese 581. მისი დანახვა შეიძლება ტელესკოპით სასწორის თანავარსკვლავედში. სხვათა შორის, პლანეტა 581 c თავისი ვარსკვლავის გარშემო ბრუნვას 14 დღეს უნდება, რაც ნიშნავს, რომ წელიწადი იქ ორ მიწიერ კვირას გრძელდება.

ვარსკვლავი, „წითელ ჯუჯად“ წოდებული, მკრთალად ანათებს და სუსტად ათბობს, მაგრამ პლანეტას ჰყოფნის. ის ხომ 14-ჯერ უფრო ახლოსაა თავის მნათობთან, ვიდრე დედამიწა.

სწავლულთა შეფასებით, ვარსკვლავი Gliese 581-ს პლანეტა მხოლოდ ერთნახევარჯერ არის დედამიწაზე დიდი (დედამიწის დიამეტრი, გავიხსენოთ, 12750 კილომეტრია, ახალი პლანეტის 581 c-სი – 19 ათასამდე კილომეტრი). იქ უნდა იყოს ატმოსფერო, თუმცა იმისი შემადგენლობა ჯერ არ არის განსაზღვრული. იქვე გამჭვირვალე ცისფერი ზღვებია, სუფთა ჰაერი, თეთრი ქვიშის პლაჟები, მყინვართა თოვლის ქუდებით დაფარული მაღალი მთები და ზღაპრულად ლამაზი დაისები, როცა მეწამული მზის უჩვეულოდ ვეებერთელა ბურთი ნელა ეშვება ოქროდ მოგიზგიზე ოკეანეში...

ასე რომ, დასახლებულია თუ არა პლანეტა, ეს საკითხი არცთუ ფანტასტური გვეჩვენება. ეგ კია, რომ ეს საკურორტო ადგილი საკმაოდ შორსაა განლაგებული, 20 სინათლის წელიწადზე მეტ მანძილზე. ამჟამინდელი კოსმოსური სიჩქარეებითაც კი მხოლოდ ერთი მიმართულებით გაფრენას 300 ათასი წელი დასჭირდება, თუ მეტი არა.

და მაინც, სასწორის თანავარსკვლავედში პლანეტა 581 c-ს აღმოჩენის ამბავმა ააფორიაქა დედამიწელები. აბა რა იქნება, პირველად გაგვიჩნდა რეალური იმედი, რომ სამყაროში მარტონი არა ვართ, რომ ოდესმე ადამიანები შეძლებენ იქამდე მიღწევას.

...ველით ქართველი სპეციალისტების გამოხმაურებას რუსეთის პრესის მიხედვით მომზადებულ ამ პუბლიკაციაზე.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძე**

№ 92. ოთხშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

# აქეთურ-იქეთური

● ოპერაში 1973 წლის ხანძრის შემდეგ არქივს გადაეცა უკვე ძლიერ დაზიანებული ესკიზები — დამწვარი, ნახევრადდამწვარი და წყლით გაჟღენთილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება

### სააქციო საზოგადოება „თელავის ღვინის მარანის“ აქციონერთა საყურადღებოდ

**სააქციო** საზოგადოება „თელავის ღვინის მარანის“ დირექცია გაცნობებთ, რომ 2007 წლის 8 (რვა) ივნისს თელავის რაიონის ს. კურდღელაურში, სს „თელავის ღვინის მარანის“ ოფისში, შედგება სს „თელავის ღვინის მარანის“ აქციონერთა საერთო კრება. კრების დასაწყისი 14.00 საათი.

საერთო კრებაზე აქციონერთა დასასწრებად აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის 8 ივნისის 13 საათსა და 45 წუთამდე. აღნიშნულ პერიოდამდე რეგისტრაციის არგავლის შემთხვევაში აქციონერი არ დაიშვება საერთო კრებაზე (სავალდებულოა კრებაზე წარმოადგინოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა).

**საერთო კრების დღის წესრიგი:**

1. გენერალური დირექტორის ანგარიშის მოსმენა სს „თელავის ღვინის მარანის“ 2006 საფინანსო წლის ანგარიშის შესახებ და მისი დამტკიცება.
2. სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების მოსმენა სს „თელავის ღვინის მარანის“ 2006 საფინანსო წლის ანგარიშისა და მოგების განაწილების წინადადების შესახებ და მისი დამტკიცება.
3. სს „თელავის ღვინის მარანის“ აუდიტორის არჩევის საკითხი.

სამეთვალყურეო საბჭოს და გენერალური დირექტორის რეკომენდაციები აღნიშნულ დღის წესრიგთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს 2006 წლის საფინანსო ანგარიში.
2. გასანაწილებელი მოგება გამოყენებულ იქნას შემდგომი ინვესტიციებისათვის და მისი ნაწილით მოხდეს არსებული დავალიანებების დაფარვა.
3. სს „თელავის ღვინის მარანის“ აუდიტორად არჩეულ იქნეს შპს „აუდიტი“ (ლიცენზია ზ №375). აუდიტორის შრომის ანაზღაურების განსაზღვრა დაევალოს გენერალურ დირექტორს ხელშეკრულებით, ასეთი ტიპის მომსახურების საშუალო საბაზრო ფასის ფარგლებში.

საერთო კრების ჩატარებამდე ათი დღით ადრე სს „თელავის ღვინის მარანის“ აქციონერებს შეუძლიათ დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, თავიანთი წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოითხოვონ გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოსაგან განმარტებები ან გამოთქვან საკუთარი აზრი, რაც საერთო კრებაზე განიხილება დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.

აქციონერებს საერთო კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში სს „თელავის ღვინის მარანის“ ოფისში მისამართზე: თელავის რაიონი ს. კურდღელაური, შეუძლიათ შეამოწმონ საერთო კრებაზე დასწრების უფლება.

საერთო კრებაზე დასწრების უფლება აქვთ სს „თელავის ღვინის მარანის“ იმ აქციონერებს, რომლებმაც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ სააღრიცხვო დღის 2007 წლის 18 მაისამდე შეიძინეს სს „თელავის ღვინის მარანის“ აქციები.

გენ. დირექტორი **თ. ჯავახიშვილი**

## განცხადება

**2007 წლის 5 ივნისს 14 საათზე ქ. ჩოლოყაშვილის III შეს. №4-ში შედგება სააქციო საზოგადოება „საქელექტრომანქანის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.
2. ცვლილება სს „საქელექტრომანქანის“ წესდების მე-5 და მე-11 მუხლებში.
3. სხვადასხვა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2007 წლის 4 მაისი.

**სს „საქელექტრომანქანის“ სამეთვალყურეო საბჭო**

## ◎ ინფორმაცია

### ბეჟუაშვილი რუმინელ კოლეგას შეხვდა

**ბრიუსელში** ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი რუმინელ კოლეგას ადრიან კიოროიანუს შეხვდა.

მინისტრებმა საქართველოსა და რუმინეთის ურთიერთობები, ნატო-ში ინტეგრაციის პროცესისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმდინარეობა განიხილეს, ასევე იმსჯელეს მეზობელ





სახელმწიფოებთან ურთიერთობებზე, შიდა კონფლიქტების გადაწყვეტის სამშვიდობო ინიციატივებსა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე.

რუმინეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ისაუბრეს ევროკავშირის რეგიონული თანამშრომლობის ახალი ინიციატივის „შავი ზღვის სინერჯიის“ შესახებ, რომელიც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ევროკავშირის თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

### მიმდინარეობს ესკიზების რესტავრაცია

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ცნობილი მხატვრის სოლიკო ვირსალაძის მიერ შესრულებული ესკიზების რესტავრაცია მიმდინარეობს.**

ესკიზები შექმნილია მინკუსის ბალეტისთვის „დონ კიხოტი“, რომლის პრემიერა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 1943 წლის 22 აპრილს შედგა. საბალეტო სპექტაკლი ცნობილმა ბალერონმა ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა.

როგორც იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, ეროვნულ არქივს ესკიზები 1973 წელს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მომხდარი ხანძრის შემდეგ გადაეცა.

— ნამუშევრები შესრულებულია ქაღალდზე, რომელიც გაცრეცილია, მაღალი მჟავიანობის გამო გაყვითლებულია, აქვს ხშირი ჩანახევები და წყლის ლაქები. ესკიზები დეფორმირებულია, რაც ხანძრის ჩაქრობისას დასველებით აა გამოწვეული. ნამუშევრები დაავადებულია მიკროორგანიზმებით, ფერწერულ ფენასა და საფუძველს შორის დაკარგულია კავშირი, რამაც გამოიწვია ფერწერის ჩამოცვენა-დაკარგვა. ესკიზზე მრავლადაა მიკროსკოპული კროკელური ბზარები, — აღნიშნეს სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, ეროვნულ არქივში ინახება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის 3183 საქმე, რომლებიც 1851-2002 წლებით თარიღდება. მათ შორის ოპერის დღიურები, სპექტაკლების ლიბრეტოები, პარტიტურები, კოსტიუმებისა და დეკორაციების ასობით ესკიზი.

ოპერაში 1973 წლის ხანძრის შემდეგ არქივს გადაეცა უკვე ძლიერ დაზიანებული ესკიზები — დამწვარი, ნახევრადდამწვარი და წყლით გაჟღენთილი. წლების განმავლობაში მოხერხდა მათი ნაწილის აღდგენა. ამჟამად გადაუდებელ რესტავრაციას მოითხოვს დეკორაციებისა და კოსტიუმების უნიკალური კოლექცია, რომელშიც შესულია 628 ესკიზი.

### ჩეჩენი ლტოლვილები თბილისში

**პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები საერთაშორისო კომისიის შექმნას ითხოვენ, რომლებიც მათი უფლებების დარღვევის ფაქტებს გამოიძიებს.**

თბილისში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობასთან, მეორე დღეა, პანკისის ხეობიდან ჩამოსული ჩეჩენი ლტოლვილების აქცია მიმდინარეობს. მათ ღამე ქუჩაში გაათენეს.

აქციაში 6 ოჯახი, სულ 26 ადამიანი მონაწილეობს. მათ შორის რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვიცაა. ყველაზე პატარა, ორ წლამდე ასაკის ბავშვი ჯანმრთელობის გაუარესების გამო სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს.



როგორც ლტოლვილებმა განაცხადეს, მათი მთავარი მოთხოვნაა, გამოიძიონ უფლებათა დარღვევის ყველა ფაქტი, რომელთაც ადგილი ჰქონდა წლების განმავლობაში, მათი საქართველოში ყოფნის პერიოდში. ისინი უსაფრთხოების გარანტიებსა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას ითხოვენ.

ჩეჩენ ლტოლვილთა თქმით, მათ მისვლისთანავე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობაში შესასვლელი კარები დაუკეტეს. აქციის მონაწილეებმა წარმომადგენლობას თავიანთი მოთხოვნები წერილობით გაუგზავნეს, მოგვიანებით ხელმძღვანელობასაც შეხვდნენ, თუმცა რაიმე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## ◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა:** ვარ II მსოფლიო ომის მონაწილე, 85 წლის. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა თანხა მეკუთვნის ელექტროენერგიისა და სხვა გადასახადების დასაფარავად?

**გერონტი ლიპარტელიანი**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, პენსიის გარდა ყოველთვიურად 44 ლარი უნდა გეძლეოდეთ.

* * *

**კითხვა:** ვარ 42 წლის. ამ რამდენიმე დღის წინათ ვიყავი მეგობართან წვეულებაზე. ცოტა მეტი მოგვივიდა დალევა. შემდეგ ნასვამი მივუჯექი საჭეს, ბოძს დავაჯახე და მძიმე ტრამვა მივიღე. ვმუშაობ. მომეცემა თუ არა დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო? თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი.

**გიორგი მიქელაშვილი**

**პასუხი:** სამწუხაროდ, არ მოგეცემათ.ვინაიდან კანონის თანახმად თუ დროებითი შრომისუუნარობა გამოწვეულია დავადებით ან ტრამვით, რომლის უშუალო მიზეზია არაფხიზელი მდგომარეობა, იგი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველია.

* * *

**კითხვა:** ვინაიდან ეს საკითხი დაწესებულებაში სადავოდ გამიხადეს, გთხოვთ, განმიმარტოთ, რა თანხები არ მიიღება მხედველობაში დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების დროს?

**ლია მინველიშვილი**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება: ერთჯერადი სახის დახმარებები, პრემიები და მატერიალური ჯილდოები; ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები; ერთჯერადი სამუშაოს ანაზღაურება, რომელიც არ წარმოადგენს ძირითადი სამუშაოსათვის მიღებულ გასამრჯელოს.

* * *

**კითხვა:** მეუბნებიან, შენი კატეგორიის ხალხს რაღაც სუბსიდია ენიშნებაო, მაგრამ არა ვარ გარკვეული ვის მივმართო. იქნებ ამიხსნათ, ვინ არის სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო?



**გიორგი ორველაშვილი**

**პასუხი:** საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა 2007 წლის 1 ივლისამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ხოლო 2007 წლის 1 ივლისიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

* * *

**კითხვა:** ვარ მძიმე ავადმყოფი. იმის გამო, რომ არავინ მყავს მომვლელი, ჩემმა 16 წლის ქალიშვილმა სწავლას თავი დაანება და ყურადღებას არ მაკლებს. ამასთან დაკავშირებით შეუწყვიტეს მამის დაღუპვის გამო დანიშნული პენსია.

გთხოვთ, განმიმარტოთ, სწორია ასეთი მოქმედება?

**ნინო გოქსაძე**

**პასუხი:** თქვენი შვილისათვის პენსიის შეწყვეტა იმ მოტივით, რომ არ სწავლობს, კანონსაწინააღმდეგოა. გარდაცვლილის 18 წლამდე ასაკის შვილებს მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნული პენსია ყველა შემთხვევაში უნდა მიეცეთ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

**კობა წაქაძემ, ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში არაერთგზის ასახელა სამშობლო საერთაშორისო ასპარეზზე და ღირსეულად დატოვა სარბიელი. ჩვენი ვალია, პატივი მივაგოთ და სათანადოდ დავაფასოთ მისი ღვაწლი**



**ორბიტაზე**

## დღეს, გლაზგოში

დადგა ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე. გლაზგოში დღეს უნდა გაიმართოს უეფას თასის ფინალური მატჩი. შოტლანდიის მთავარი ქალაქი უმასპინძლებს ესპანურ დერბის — „ესპანიოლა“ — „სევილია“.

ამ დიდად მნიშვნელოვანი მატჩის გაძღოლა მიანდვეს შვეიცარიელ მსაჯს მასიმო ბუზაკას,

შეხვედრა ჩვენი დროით 22.30 საათზე დაიწყება.

## მოკლეს კლუბის პრეზიდენტი

**ეს ტრაგედია ბულგარეთში მოხდა — დაახლოებით დილის 11 საათზე სოფიის ერთ-ერთ საგარეუბნო კვარტალში „ბოიანა“ არენდირებულ „მერსედესში“**



მოკლული ნახეს საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივ-პლოვდივის“ პრეზიდენტი ალექსანდრ ტასევი. მას ტყვია თავში აქვს დახლილი. 47 წლის ტასევი ასევე სათავეში ედგა დიდ საექსპორტო-საიმპორტო კომპანიას. მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფიის მთავარი პროკურორი.

აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინათ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ბულგარულ კურორტზე მოკლეს პლოვდივის „ლოკომოტივის“ ადრინდელი მფლობელი გიორგი ილიევი. 39 წლის ილიევი 2005 წლის 25 აგვისტოს გვიან საღამოს მიახვრიტეს მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა უეფას თასის გათამაშების ძირითადი ეტაპის საგზური მოიპოვა. მას სნაიპერმა მისსავე რესტორანში ტელეფონზე ლაპარაკის დროს ესროლა. როგორც ამბობენ, ეს მკვლელობა ნარკოტიკებით მოვაჭრე კლანების ურთიერთობის გარკვევასთანაა დაკავშირებული.

## ვიბრატორებით გამდიდრდნენ

**გერმანული სექს-შოპების ქსელმა Beate Uhse განაცხადა, რომ ისევ 50-50 ათას ევროს გადაუხდის გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებს მიხაელ ბალაკსა და ოლივერ კანს, თუ კი ისინი თანახმანი იქნებიან, მათი სახელები გამოიყენონ კომპანიის მაღაზიებში ვიბრატორების გაყიდვისას.**

ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ასეთი ვიბრატორები უკვე გამოუშვეს და რეკლამისთვის ამ ფეხბურთელთა სახელები და ფოტოები გამოიყენეს — „მიხაელ ბ“ და „ოლი კ“, რის გამოც მათ სასამართლოში იჩივლეს და 50-50 ათასი ევრო და ბოდიშიც მიიღეს მორალური ზარალისთვის. ვიბრატორები კი სავაჭრო ქსელიდან ამოიღეს. თუმცა ბევრი ქალიშვილის სასიხარულოდ, მათ მაინც მოასწრეს ფეხბურთელთა პორტრეტებიანი ვიბრატორების შეძენაც და ხმარებაც.




**სპეციალისტის აზრი**

## სადაც ერის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ

**კალათბურთის ცნობილი სპეციალისტი ვაჟა კვარაცხელია, რომელიც კომპანია „ინტერპერფორმაქსის“ (პრეზიდენტი ლუჩიანო კაპიკიონი) წარმომადგენელია, ფირმის დავალებით ექვსი თვე ევროპასა და ამერიკაში იმყოფებოდა. ძირფესვიანად გაეცნო იქაური სკოლების, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სპორტულ ცხოვრებას, საკალათბურთო სისტემას, წვრთნის პროცესებს. საგულისხმოა ისიც, რომ მისი სამი შეგირდი ამერიკაში სწავლობს და ისინი სხვადასხვა შტატის პირველობებზე იცავენ მშობლიური სასწავლებლების სპორტულ ღირსებას.**

— ლევან ფაცაცია არკანზასში სწავლობს, — მითხრა ბატონმა ვაჟამ. — გასასინჯად რომ ჩავიდა, ძალიან მოეწონათ ქართველი კალათბურთელის თამაში და მასპინძლებმა იგი ჩარიცხეს უნივერსიტეტში, სადაც წლიური გადასახადი 38 ათასი დოლარია. ლევანს სწავლა, სპორტული ფორმა, ბინა და კვება უფასო აქვს. სამაგიეროდ, გუნდის სული და გულია.

ფლორიდის შტატის ჯუნიორკოლეჯის მეორეკურსელია ლაშა ფარლალავა. შტატის I დივიზიონში თამაშობს და საშუალოდ მატჩში 25 ქულას აგროვებს. წლეულს ლაშას გუნდს შეუერთდება აიოვას შტატის ასევე ჯუნიორკოლეჯის მოსწავლე გიორგი ერქვანია, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო მთელი სეზონი გაუცდა. უნდა გითხრათ ისიც, რომ ნიუჯერსის უნივერსიტეტიდან ელოდება მიწვევას ირაკლი ჯგერენაია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბიჭები დიდ გამოცდილებას შეიძენენ ამერიკულ კალათბურთში, რაც ეროვნულ ნაკრებში გამოადგებათ.

**— ამერიკაში სტუმრობისას ყველაზე მეტად რამ მიიპყრო თქვენი ყურადღება?**

— მთელი ქვეყანა ერის ჯანმრთელობაზე ზრუნავს. განსაკუთრებით ეს სასწავლებლებს ეხება. იშვიათად, რომ მოსწავლე ან სტუდენტი სპორტში არ იყოს ჩაბმული. სკოლებს, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებს ბეისბოლის, კალათბურთისა და ამერიკული ფეხბურთის გუნდები ჰყავთ და შტატის პირველობაზე ორ სახეობაში მაინც გამოდიან. შტატის დივიზიონში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ამერიკის ჩემპიონატში მონაწილეობენ. უნივერსიტეტების პირველი დივიზიონის წარმომადგენლებს თითქმის ევროლიგის გუნდების დარი ბიუჯეტი აქვთ და თამაშებზე სპეციალური თვითმფრინავებით მიემგზავრებიან. მათს მატჩებს 15-16 ათასი მაყურებელი ესწრება. საუნივერსიტეტო კალათბურთიდან კი საუკეთესოები ნბა-სკენ იკვალავენ გზას..

კარგი იქნება, სპორტული ცხოვრების ამერიკული სისტემის რაღაც ფორმებს ჩვენთანაც თუ დავნერგავთ. ვიცი, რომ საკუთარი ნებით თითქმის არც ერთი სასწავლებელი არ იყოლიებს გუნდებს — მაშინვე უსახსრობას მოიმიზეზებენ. არადა, საამისოდ დიდი ფული სულაც არ არის საჭირო. თუკი შეიქმნება სტუდენტური ლიგა და მასში მონაწილე გუნდების წევრებს სასწავლებლები სწავლის ქირაზე შეღავათებს დაუწესებენ, ნაკრებში მოსახვედრად კონკურენცია გაიზრდება, ახალგაზრდები და მათი მშობლები უფრო მეტად დაინტერესდებიან სპორტით და მოზარდებს ქუჩასაც მოვწყვეტთ. ამ საქმეში სახელმწიფომაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი — მხოლოდ დაფინანსებას არ ვგულისხმობ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აკრედიტაციისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სპორტით სასწავლებლის დაინტერესება. მაშინ პასუხისმგებლობა ამაღლდება და მოსახლეობის გაჯანსაღებასა თუ ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის საიმედო ცვლის მომზადებაში სათანადო წვლილს შევიტანთ.

ესაუბრა
**გიორგი გაგუა**

**გუშინ** დაიწყო სუპერლიგის პლეი-ოფები. გაუწყებთ პირველი მატჩების შედეგებს. III ადგილისათვის: თსუ-„დინამო“ 112:90. ფინალი: „აზოტი“-„ავიამშენი“ 85:75.

**დოპინგი**

## „სუფთა“ და „ჭუჭყიანი“ სპორტი

**თუმცა** შარშანდელი შედეგების მიხედვით, დოპინგ-ტესტების რაოდენობით ოლიმპიური სახეობებიდან ფეხბურთი „ლიდერობს“ — 25727 სინჯი, შემდეგ მოდიან მძლეოსნები — 19 781, ბეისბოლი — 15 977, ველოსპორტი — 14 229 და საწყლოსნო სახეობები — 11 582. მაგრამ დადებითი შედეგით წინაა ბეისბოლი — 370, მძლეოსნობა — 315, ფეხბურთი — 281 და ძალოსნობა — 187. თუმცა სპორტის სახეობების „დადოპინგება“ აქ განისაზღვრება აღებული სინჯებისა და დადებითი პასუხების შეფარდებით. აქ „ლიდერობენ“: ველოსპორტი — 4,17 პროცენტი, ძალოსნობა — 2,86, კრივი — 2,39, ბეისბოლი — 2,31.

სპორტის ყველაზე „სუფთა“ სახეობებად გამოჩნდნენ — სროლა — 0,54 (2406-დან 13), კერლინგი — 0,57 (35-დან — 2) და



ფარიკაობა — 0,60 (1837-დან 11).

თუმცა არაოლიმპიური სახეობებზე ტოტალური კონტროლი არ ხორციელდება, მაგრამ გამოჩნდა, რომ „დადოპინგება“ იქ საკმაოდ მაღალია — ავიასპორტი 9,26 პროცენტი (9-97-დან), ბრიჯი — 3,46 (16-163-დან), სერფინგი — 3,30 (3-91-დან).

არაოლიმპიური სახეობებიდან დადებითი აღმოჩნდა 41 დოპინგ-სინჯი, რაც 2,18 პროცენტს უტოლდება.

ყოველივე ამას იუწყება მსოფლიო დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო (WADA).

**რეტრო**

# კობა წაქაძე — „მფრინავი ტორპედო“

**საქართველოს მთაგორიანი რელიეფი, მისი კლიმატი, საუკეთესო საშუალებას იძლევა საიმისოდ, რომ სამთო-სათხილამურო სპორტი აღორძინდეს, განვითარდეს და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი სიტყვა გვეთქმოდეს. სამწუხაროდ, ამ მხრივ თავმოსაწონი ბევრი არაფერი გვაქვს. ამდენად, თუ ვინმე გამოჩნდება, ვინც სპორტის ამ სახეობაში, მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს ღირსეულად წარმოაჩენს, მას ხელშეწყობა, მხარში ამოდგომა და, რაც მთავარია, სათანადო დაფასება სჭირდება.**

ასეთი ბედნიერი გამონაკლისი ტრამპლინიდან მხტომელი, „მფრინავი ტორპედოდ“ მონათლული, სახელგანთქმული კობა წაქაძე გახლავთ. იგი ბაკურიანში დაიბადა და გაიზარდა. თხილამურებით ალმაფრენა ბავშვობიდანვე ოცნებად ექცა, ამისათვის კი ბაკურიანზე უკეთეს ადგილს კაცი ვერ ინატრებდა. კობას გაზაფხული მაშინ დგებოდა, როცა ბაკურიანში პირველი თოვლი მოვიდოდა და თხილამურების სეზონი იწყებოდა. ბუნებამაც არ დაიშურა თავისი მადლი და წარმატებაც მალე მოვიდა. საქართველოში ღირსეული მეტოქე რომ აღარ იგულა, ამაყად შეაღო საბჭოთა კავშირის ნაკრების კარი და ტრამპლინიდან ხტომაში ლიდერობა აქაც არავის დაუთმო. საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებულს, ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლის მოსაპოვებლად, ბოლო მომენტში სპორტული ფორტუნა რატომღაც არ წყალობდა. ამ ბედუიღბლობის გამო, გამარჯვებებს მიჩვეული, საპრიზო ადგილსაც სჯერდებოდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, გამარჯვებულთან შედარებით, მაყურებელთა სიმპატია ყოველთვის მისკენ იხრებოდა. წაქაძის ნახტომი ყველასგან განსხვავდებოდა. მისი დახრის კუთხე თხილამურებზე, იმდენად მახვილი იყო, რომ ტრამპლინიდან მოწყვეტილი და ჰაერში სოლივით აჭრილი, მთლიანობაში ტორპედოს მოგაგონებდათ, რომელიც დაფრენისას მსუბუქად ეშვებოდა და ფრთაგაშლილი რბილად ჯდებოდა ქათქათა თოვლზე. ამ სანახაობით ულფრთოვანებულმა და მოხიბლულმა მაყურებელმა, „მფრინავი ტორპედო“ შეარქვა.



ეს ნთლობა, იტალიის ზამთრის საკურორტო ქალაქ კორტინა დამპეცოში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა. ეს ის ოლიმპიური თამაშებია, სადაც მსოფლიო ლეგენდამ, ავსტრიელმა ტონი ზაილერმა, ოქროს მთელი მოსავალი პირწმინდად მოიგო. უდაოდ დიდი აღიარებაა, როცა ტონი ზაილერის გვერდით მოპაექრე ქართველ სპორტსმენს, უცხო, ნეიტრალური გულშემატკივარი ასეთი ეპითეტით შეამკობს. საქართველოში მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, როგორც ჩემთან საუბარში კობა წაქაძემ ბრძანა, ცეკას მაშინდელი მდივანი გიორგი გეგეშიძე გახლდათ. სწორედ მისგან აწკრიალდებოდა პირველი მოსალოცი სატელეფონო ზარი. მაღალი რანგის გულშემატკივრის ყურადღებით განებივრებულ კობა წაქაძეს, იგი არასოდეს, არაფერზე არ შეუწუხებია, გარდა ერთი შემთხვევისა. ბატონი გიორგი მაშინ „შეაწუხა“, როცა იგი „საჭირო“ კაცი აღარ იყო და მისი ოთხი შვილი ბაკურიანში დასასვენებლად თავისთან მიიწვია. პასუხად, ერთ დროს ყოვლისშემძლე, ქველმოქმედებით ცნობილი ცეკას მდივნის სევდანარევ ღიმილში, ამ თანაგრძნობისთვის, მადლობა იკითხებოდა.

კობა წაქაძემ, ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში არაერთგზის ასახელა სამშობლო საერთაშორისო ასპარეზზე და ღირსეულად დატოვა სარბიელი. ჩვენი ვალია, პატივი მივაგოთ და სათანადოდ დავაფასოთ მისი ღვაწლი. გუდაურში ყოველწლიურად ტარდება „მემორიალი სუხია“. ურიგო არ იქნება ბაკურიანში მის სიცოცხლეშივე დაწესდეს პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი. გახსნის ცერემონიალზე საპატიო სტუმრად მოვიწვიოთ მისი ძველი მეგობარი, ლეგენდარული ტონი ზაილერი, სამთო სათხილამურო სპორტის ამ ორი კორიფეს შეხვედრის ფონზე, ასპარეზობის გახსნა, მშვენიერ რეკლამად წაადგება მომავალში, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბაკურიანში მასპინძლობას. კარგი იქნება, თუ ამ მამულიშვილურ იდეას მხარდამჭერები გამოუჩნდებიან.

**ალბერტ გულისაშვილი**

№ 92. ოთხშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

# ეპოქა

● იმ ძვირფას ხელნაწერებს შორის, რომლებიც ქართველთა მეფე-წმინდანს, თამარს უკავშირდება, ის უნიკალური სიგელიც არის, რომელზეც ორი სტრიქონი თამარ მეფის ხელითაა შესრულებული და იგი დედოფლის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ავტოგრაფია

◎ ინფორმაცია

## გალში ქართველებს კვლავ ავიწროებენ

ყაჩაღობა მოხდა გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში. ზაქარაიების ოჯახს ხუთი ნიღბიანი შეიარაღებული პირი დაესხა თავს.

ამის შესახებ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორმა თორნიკე კილანავამ განაცხადა.

მისივე თქმით, სასტიკადაა ნაცემი ოჯახის ექვსივე წევრი, მათ შორის 3 წლის გოგონა ხატია ზაქარაია. თავდამსხმელები რუსულ ენაზე აფხაზური აქცენტით საუბრობდნენ.

თავდამსხმელები 50 ათას დოლარს ითხოვდნენ. მათ ოჯახიდან წაიღეს ფული და ძვირფასეულობა.

ამ დროისთვის ზაქარაიების ოჯახის ხუთი წევრი გალის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული, ოჯახის უფროსი კი — ზუგდიდის საავადმყოფოში.

ინტერპრესნიუსი



◎ უნიკალური გამოფენა

# თამარის ხელრთვა...

**იმ ძვირფას ხელნაწერებს შორის, რომლებიც ქართველთა მეფე-წმინდანს, თამარს უკავშირდება, ის უნიკალური სიგელიც არის, რომელზეც ორი სტრიქონი თამარ მეფის ხელითაა შესრულებული და იგი დედოფლის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ავტოგრაფია.**

ამ უნიკალური განძისა და მასთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი ექსპონატების ხილვის საშუალება მისცა საზოგადოებრიობას საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, რომელმაც 14 მაისს, თამარობის დღეს გამოფინა ინსტიტუტის საექსპოზიციო დარბაზში.

ყველაფერი ის, რაც მეფე-წმინდანს უკავშირდება და გამოფენაზეა წარმოდგენილი, მხოლოდ ნაწილია იმ ეპოქისა, რომელიც აღორძინების ხანით არის ცნობილი. „თამარს ვაქებდეთ მეფესა“ — ასე ჰქვია ამ გამოფენას, სადაც ექსკლუზიურად არის წარმოდგენილი საქართველოს ცნობილი მონარქისადმი მიძღვნილი ხელნაწერები. მათ შორის არის ოქრომელნით გადაწერილი და უმდიდრესი მინიატიურებით გაფორმებული „ვანის სახარება“, რომელიც გადმოცემის მიხედვით თამარის პირადი რელიკვიაა და მეფეს მუდამ თან დაჰქონდა, ომებშიც კი.

დამთვალიერებელი აქ იხილავს ვარძიის, ჯრუჭის, ტბეთის, გელათის სახარებებს, იოანე ოქროპირის ჟამისწირვას, ფსალმუნს, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანს, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თამარის ეპოქის პირველი ქართული ასტროლოგიური ტრაქტატი, რომელიც ზოდიაქოს ნიშნებით არის გაფორმებული. ასევე საყურადღებოა ქართველი ოქრომჭედლების — ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ყდები წყაროსთავისა და ბერთის სახარებებისა.

ექსპოზიციაზე პირველად არის წარმოდგენილი მდიდრულად მორთული „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია.

უნიკალურ ხელნაწერთა გვერდით გამოფენილია ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ფოტოორიგინალები, რომლებსაც მხატვარი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე მუშაობისას საქართველოში იღებდა და ამ ფოტოებისა და საგანგებოდ შერჩეული ტიპაჟების მიხედვით ქმნიდა ილუსტრაციებს. ზიჩისეული ილუსტრაციები და თავად ეს ფოტოორიგინალები პირველად გამოიფინა. აქვეა წარმოდგენილი ლადო გუდიაშვილისა და თამარ აბაკელიას ილუსტრაციები.

დამთვალიერებელს ასევე საშუალება აქვს, იხილოს თამარ მეფისადმი მიძღვნილი იშვიათი ფოლკლორული მასალა, რომელიც სომხეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანშია ჩაწერილი. ასევე მასალები ექვთიმე თაყაიშვილის ფოტოარქივიდან, მაგალითად, თამარისეული ქოლგა და ცხენის რკინის ლაგამი, რომლებიც დაცულია სვანეთში, ლაშხეთის თემში.

— ეს არის მოკრძალებული ცდა იმისა, რომ ორიგინალურად წარმოგვედგინა სახელოვან მეფესთან დაკავშირებული ეპოქა და მისი მნიშვნელობა შეგვეხსენებინა საზოგადოებისთვის. გამოფენაზე მხოლოდ იმ ეპოქაში შექმნილი ნიმუშების გარდა წარმოდგენილია სხვა პერიოდის ქმნილებებიც, რომლებიც მეფე-წმინდანს უკავშირდება, — აღნიშნა გამოფენის გახსნისას ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ბუბა კუდავამ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**



**სურათზე:** თამარისეული ვანის სახარების კამარის დეტალი.

◎ სიტყვა მეგობარზე

**„ალაზნის ველს გადაჰყურებდა თებრო... ჭალისპირა მინდვრებზე ჩრდილი გადაწოლილიყო, მიწას იასამნისფერი დასდებოდა. გამზიანებული ველის ერთი ნაწილი წითლად ღუოდა. წითელი მინდვრების გვერდით — ცეცხლით დახეთქილი, დანაცრული მიწისფერი ედო. ნაცრისფერის გვერდით — გადაყვითლებულიყო. ყვითელი მინდვრების გვერდით — ჩაშავებული მიწა შორიდან ნაჭერ-ნაჭერ ჩაწყობილი რომ მოჩანდა, მზრალად დაეხნათ... ალაზნის ველი ხან თვალის მომჭრელად იყო გამზიანებული, ალმურმოკიდებული ქალივით ზედ არ დაგახედებდა, დაგაბრმავებდა, დაგთრგუნავდა; ხან — მზე რომ გადაფერდდებოდა და ნიავი წამოუქროლებდა, ველებს მოლურჯო-ნაცრისფერი გადაჰკრავდა, თითქოს მთელ ქვეყანას გადაევლოს ზედ და ალაპლაპებული ალაზანი — სიკვდილისფრად გათეთრებული ხელები დაეწყოს მკერდზე.“**

## „ყადიმი მალე გამოჩნდება...“

მხოლოდ ნამდვილ მწერალს თუ ხელეწიფება, ასე შთამბეჭდავად და ხატოვნად გადმოსცეს ბუნების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალაზნის ველის მშვენიერება, მისი ხიბლი და ანდამატი. სწორედ ასეთი მწერალია თემურ აბულაშვილი, ქართული სამწერლო ოჯახის ერთი ღირსეული წარმომადგენელი, რომელიც აი უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩუმად და უხმაუროდ ემსახურება მშობელ ქვეყანას, მშობლიურ მწერლობას...

საოცრად მომთხოვნი და უკომპრომისოა საკუთარი თავისადმი. ალბათ, ამის გამოცაა, რომ დღემდე სულ რამდენიმე კრებული გამოსცა. ამ კრებულებს („ჩიტები უფასოდ“, „გზა ვარსკვლავეთისაკენ“, „მდინარეს მიაქვს ამბავი“, „1992 წლის ფეხბურთი“, „ველის ხარი“) მოწონებითა და ინტერესით შეხვდა ქართველი მკითხველი. მისი საუკეთესო მოთხრობები რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოსცა გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“.

და მაინც, რატომ გვიზიდავს ასე თემურ აბულაშვილის პროზა, რა ანდამატი გააჩნია ასეთი?

მისი შემოქმედების უპირველესი ღირსება, ალბათ, სიმართლეა, დიდი ადამიანური სიმართლე. იგი წერს მხოლოდ იმაზე, რაც ძალიან კარგად იცის, რასაც ძალიან კარგად იცნობს, რაც მისი გულის სისხლშია განბანილი და გასპეტაკებული...

თემურ აბულაშვილის მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ჰუმანიზმის ნათელი გრძნობა. დიდი თანაგრძნობით, დიდი სიყვარულით ხატავს იგი გიუ ქექელას (რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის ჩანჩურას მომაგონებს), მის ტკივილებსა თუ საწუხარს. დიდი თანალმობა იგრძნობა მუნჯი ბასილის („ჩიტები უფასოდ“ — სხვათა შორის, ეს მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესოა თემურის შემოქმედებაში) პორტრეტის ხატვისას, რომელსაც დედის წამლის შესაძენად ჩიტები წაუყვანია ქალაქში გასაყიდად. საოცარი ძალითაა დახატული ველის ხარი — ნარიგლეჯიანთ მელანო (ველის ხარი ველის (მოუხნავ) მხარეს, გუთანში მარცხნივ შებმულ ხარს რქმევია), დაქვრივებული დედაკაცი, რომელსაც ათასი პრობლემა გასჩენია და ამ პრობლემათაგან უმთავრესი — ადამიანური სითბო და თანადგომაა.



თემურ აბულაშვილის შემოქმედებაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ენის ლექსიკის სიმდიდრე, ფრაზის მოქნილობა, ჭეშმარიტი მხატვრის თვალი.

თემურ აბულაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი პიესა, მხატვრული ნარკვევი თუ პუბლიცისტური წერილი.

მისი მწერლური წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებაც წარმოადგენს. სად არ უმუშავია, კონტროლიორიც ყოფილა და კორექტორიც, მეთოდისტიც და მეხანძრეც, ბიბლიოთეკარიც და კორესპონდენტიც. აი, უკვე მრავალი წელია, რაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ დაუკავშირა თავისი ბედი და ჩვენი სალიტერატურო გაზეთის წარმატებებში მასაც — გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორსაც მიუძღვის დიდი წვლილი.

ჭეშმარიტი პატრიოტია თავისი ქვეყნისა, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე. სწორედ ამის დასტური გახლავთ უკანასკნელ ხანს ცალკე წიგნად გამოქვეყნებული ნოველა „1992 წლის ფეხბურთი“, რომელიც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას მიუძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნოველა ჭეშმარიტად საბრალდებო დასკვნას წარმოადგენს XX საუკუნის კანიბალებისათვის, რომლებმაც ჩამოიხსნეს ნიღბები და ყველას დაანახეს მათი ნამდვილი სახე. თემურ აბულაშვილი ამ ნოველით აგრძელებს ქართული მწერლობის საუკეთესო ჰუმანურ ტრადიციებს და აფხაზი ბიჭუნას — ტალიბეის სახის შექმნით სიყვარულს, დიდ ადამიანურ სიყვარულს, აფხაზი და ქართველი ხალხების ჭეშმარიტ ძმობასა და სიყვარულს ასხამს ხოტბას. ამ ნოველის წაკითხვა რაღაცნაირად გასპეტაკებს, გაპატიოსნებს და დიდი იმედითაც აღგავსებს — დამნაშავენი, სისხლისმსმელი დამნაშავენი დაისჯებიან, უსასტიკესად დაისჯებიან, ტალიბეისა და ანოს სიყვარული კი გადარჩება და საუკუნეების მიღმა გაატანს. ეს რწმენა გვასულდგმულებს ყველას, ეს რწმენა დაგვაბრუნებს აფხაზეთში...

თემურ აბულაშვილის ერთ-ერთ მოთხრობას ჰქვია „ყადიმი მალე გამოჩნდება“. ყადიმი ის მყარი ნიადაგია, რომელსაც სახლის საძირკველი უნდა დაეყრდნოს. ჰოდა, ამ მოთხრობის გმირებიც ებრძვიან მიწას, რათა რაც შეიძლება მალე გამოჩნდეს ყადიმი. „სახლი მაგარ საძირკველზე უნდა იდგეს, ეს არის ქვეყნის ფუფუნება. არ დავთმობ, არა! თავისას არ გავაყვანინებ, აი, ბოლოს, დავადგებით სიმაგრეს, მაშ რა იქნება!..“ — ამბობს მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ლექსო და ამ სიტყვებში გამჟღავნებულია მწერლის კრედო, მისი მიზანი და სანატრიონი.

დიახ, ყადიმი მალე გამოჩნდება, ქვეყნის ყადიმი, მალე დავადგებით სიმაგრეს, ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა — საქართველო მალე გაიმართება წელში. ასე სწამს მწერალ თემურ აბულაშვილს და მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ყადიმის მალე გამოჩენას ემსახურება. ალალი იყოს მისთვის ამ მსახურებაში ასე უცბად გაფრენილი სამოცი წელიწადი.

**ზაალ გოტკოველი**

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!

№ 92. ოთხშაბათი, 16 მაისი, 2007 წელი.

ხსოვნა

# ზურაბ შოშიტაიშვილი

კიდევ ერთი კაცური კაცი დააკლდა ქალაქს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენი თაობის გამორჩეული ადამიანი, დიდბუნოვანი, ღირსეული და ვალმოხდილი მოქალაქე, გასაოცარი პიროვნული თვისებებით, კეთილშობილებითა და თავმდაბლობით გამორჩეული, უმაღლესი რანგის პროფესიონალი, დახვეწილი ინტელიგენტი.

ზურაბ გიორგის ძე შოშიტაიშვილი დაიბადა 1931 წელს თბილისში, ერთ-ერთ ქართულ, ტრადიციულ ოჯახში, რაც აისახებოდა ზურაბის პიროვნულ თვისებებში, მის ბუნებაში.

1950 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის პირველი ვაჟთა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში ფილოლოგიის სპეციალობით.



მან შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წლიდან. იყო სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის" საქართველოს განყოფილების თარჯიმანი.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს ორწლიანი კურსების ინგლისური ენის მასწავლებელი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლომატიური სკოლის მსმენელი, არგენტინის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს მესამე მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო-სამეცნიერო გადაცემათა მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების ინსტრუქტორი, შემდეგ კი განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს სსრ უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა და ტურიზმის რესპუბლიკური ასოციაცია „საქართველოს" გენერალური დირექტორის მოადგილე, ასოციაცია „საქართველოს" საინფორმაციო-სარეკლამო სააგენტო „უშბას" გენერალური დირექტორი, ხოლო დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე — 1992-2005 — საქართველოს ჟურნალ „პოლიტიკის" მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის ლექტორი.

ზურაბ შოშიტაიშვილი სამსახურებრივი მივლინებებით საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში იყო გაგზავნილი, როგორც პროფესიონალი და ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი. იგი მივლინებული იყო: ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ფინეთში, იტალიაში, პოლონეთში, კუბაში, არგენტინაში, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (იაპონია, ვიეტნამი, სინგაპური, ფილიპინები), ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მექსიკაში და სხვა.

ზურაბ შოშიტაიშვილს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს სტატიები საგარეო პოლიტიკის შესახებ, წიგნი „კუბა იბრძვის, კუბა იმარჯვებს", თანაავტორია აგრეთვე წიგნისა „საერთაშორისო დღიური", „მშვიდობის კურსით".

მას მრავალი სახელმწიფო ჯილდო და მადლობა ჰქონდა მიღებული, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო იყო ის, რომ იგი გამორჩეული და პატივსაცემი პიროვნება იყო ყველგან — სკოლაში, უნივერსიტეტში, საზოგადოებაში, სამსახურში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ, როგორც პატიოსნების განსახიერება, განათლებული, ერუდირებული ადამიანი, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული და ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა!

უახლოესი მეგობრები:

გურამ ახვლედიანი, ილო ბარათაშვილი, გურამ გომართელი, ნოდარ მგალობლიშვილი, გივი მესხიშვილი, რეზო მხეიძე, ირაკლი ჟორდანია, რამაზ ღამბაშიძე, გურამ ღოღობერიძე, თამაზ შილაკაძე, თამაზ ხუნჯუა

ხსოვნა



# ალექსანდრე ღუღუნიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ალექსანდრე ღუღუნიშვილი. ბატონი ალექსანდრე ღუღუნიშვილი დაიბადა 1922 წელს საჩხერის რაიონის დაბა საჩხერეში. სრულიად ახალგაზრდა იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში, ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1948 წელს.

შრომითი საქმიანობა დაიწყო პროკურატურის სისტემაში, სამოქალაქო განყოფილების პროკურორად, სადაც მუშაობდა 1851 წლამდე.

1951 წლიდან 1953 წლამდე არჩეული იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ.

1953 წლიდან 2000 წლამდე იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი და სასამართლო შემადგენლობის თავმჯდომარე.

სამსახურებრივი მოღვაწეობის პერიოდში გავლილი აქვს იურისტთა დახელოვნების უმაღლესი იურიდიული კურსები. დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელითა და „საპატიო ნიშნის" ორდენით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

უზენაეს სასამართლოში მოღვაწეობის 47 წლის მანძილზე იგი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას, გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით. პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ყოველთვის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

# იური ჩიჩუა



საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის წინა თაობის რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი და დამსახურებული ექიმი, შესანიშნავი თანამშრომელი, ადამიანი და მეგობარი იური ვახტანგის ძე ჩიჩუა.

იგი დაიბადა 1926 წლის 17 მაისს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლებაში. 1942 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1947 წელს. 1947-1949 წლებში მუშაობდა კურორტ მენჯში ექიმ-ორდინატორად, 1949-51 წლებში — გაგრის სანატორიუმ „რიცაში" ექიმ-თერაპევტად. 1951-52 წლებში კი მცხეთის რაისაავადმყოფოს უბნის ექიმად. 1953 წლიდან აკადემიის სისტემაში ჰემატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაშია.

1954 წელს ჩაირიცხა ქ. ლენინგრადის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს, ამავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დაიწყო მუშაობა ლენინგრადის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. 1961 წელს გადმოიყვანეს ქ. თბილისის სისხლის გადასხმის ს/კ ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. 1962-69 წლებში მუშაობდა ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტის პრეპარატების განყოფილების გამგედ, ხოლო 1969 წლიდან მუშაობდა მოზრდილთა და ბავშვთა ჰემატოლოგიური კლინიკის უფროს მეცნიერ მუშაკად. 1996 წელს იური ჩიჩუა ინიშნება თერაპიული განყოფილების გამგედ.

წავიდა ჩვენგან ალალმართალი, უღალატო, გულისხმიერი მეუღლე, მამა და ბაბუა ბატონი იური.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის
ს/კ ინსტიტუტი



უახლოესი გარდაცვლილი მეგობრების: ჯემალ ანჯაფარიძის, მერაბ ალექსიძის, ბიძინა ბოკერიას, გივი გუგუშვილის, ზურაბ ბოკუჩავას, ვოვა გოზალაშვილის, გივი ზარდიაშვილის, ლეო იმნაძის, მერაბ მაჭავარიანის, ჯუნა მიქატაძის, გურამ ოქრუაშვილის, ჯუნიკო სანიკიძის, გურამ ქავთარაძის, დემნა ქარსელაძის, გიზო ლვალაძის, იური შახოვის, გურამ ჭეიშვილის, მანანა მეგრელიძის, მარინა კერესელიძის, ნანული ლოლობერიძის ოჯახები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ გრიგოლის ძე შოშიტაიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეგობრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ზურლან გემაზაშვილი, ნუგზარ წერეთელი, აგი აბაშიძე, ნიკო ლეონიძე, გურამ გეგეშიძე, ნოდარ ზედელაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, ერლომ ახვლედიანი, გივი შაჰნაზარი, ჟორა ბერძენიშვილი, ომარ ბერაძე, რეზო ხაზარაძე, გოგი დემეტრაძე, იუზა ხუსკივაძე ღრმა გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ (შოშკა) შოშიტაიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

1999-2004 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრები, ფრაქცია „საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" ყოფილი წევრები ვლადიმერ ქარსელაძე, არჩილ გოგელია, მერაბ სამადაშვილი, მელორ ტყეშელაშვილი, რევაზ სუჯაშვილი, გოგი ლიპარტელიანი, ენზელ მკოიანი, გურამ ვახტანგაშვილი, როლანდ მგალობლიშვილი, გოჩა ქიმაძე, ალბერტ ინდუაშვილი, თენგიზ გაზდელიანი, რევაზ ნოდარიშვილი, ვახტანგ ყანჩაველი, თემურ ჯაფარიძე, დემურ გადელია, პეტრე ბერაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ფრაქციის წევრი, ცაგერის რაიონის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი

კარლო მუშკუდიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსების ორდენის კავალერი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალის ყოფილი მთავარი რედაქტორი

ლია კაკაბაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ი. ფალავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ექიმ-ბაქტერიოლოგის ნუნუ გელოვანის შვილი

დათო ვაშაკიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# განცხადება

სს ქ. რუსთავის №2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი ატარებს გამოუყენებელი და დაუტვირთავი 13,78 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის კონკურსს, ფართი განთავსებულია ქ. რუსთავში მესხიშვილის I ა სს ქ. რუსთავის №2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის 4-სართულიანი შენობის I სართულზე.

წლიური იჯარის ქირა შეადგენს 750 ლარს (ბე 100 ლარი). იჯარის ხანგრძლივობა განსაზღვრავს 5 წელიწადს, სავალდებულო საკონკურსო პირობების გათვალისწინებით. მოიჯარე ვალდებულია:

— მიიღოს წილობრივი მონაწილეობა მთლიანი შენობის ინფრასტრუქტურის მომსახურებაში.

— კეთილმოაწყოს და გაამწვანოს მიმდებარე ტერიტორია

— იჯარით აღებულ ფართში იკრძალება ისეთი საქმიანობა, რომელიც ხელს შეუშლის დაწესებულების სამედიცინო მომსახურების ნორმალურ მსვლელობას.

კონკურსი ჩატარდება 2007 წლის 15 ივნისს 12 საათზე.

სს ქ. რუსთავის №2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის ადმინისტრაცია.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ. 1ა, ტელ: 8(24) 15-28-36.

● საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა ულუმბოზე ქართული მონასტრის დამაარსებელნი, ღირსნი მამანი, მიქაელი და არსენი



ეროვნული ბიბლიოთეკა



## სულიერება

# ღირსნი მამანი მიქაელ და არსენ ქართველნი — ულუმბოელნი



**16 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს მამებს მიქაელ და არსენ ულუმბოელებს. ისინი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპების მიერ არიან მოხსენიებულნი, როგორც ალმაშენებელნი „წმიდათა მამათა ჩვენთა მიქაელ და არსენ, რომელთა აღაშენეს ულუმბოი“.**

...არსენ და მიქაელ ულუმბოელებს საფუძველი ჩაუყრიათ ბერ-მონაზვნობისათვის ულუმბოში.

პავლე ინგოროყვას ვარაუდით, ერთ-ერთი მოხსენიებული პირი — არსენი: „კაცი შვენიერი, კეთილი მონაზონი, სრული სიბრძნითა, შვილი დიდებულთა აზნაურთა, ტომი დიდისა ეფრემ მაწყუერელ ეპისკოპოსისა“. არსენი ხანძთიდან ჩამოსულა პალესტინაში, შემდეგ კი მცირე აზიაში გადასულა.

მოგვიანებით ულუმბოს მთაზე მრავალი ქართველი დასახლებულა. მეათე საუკუნის მეორე ნახევარში აქ, ულუმბოზე მოღვაწეობდა ღირსი იოანე და მისი შვილი — ექვთიმე, მაგრამ, ვინაიდან მათ „პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი“, აქაურობა მიატოვეს და წმიდა ათონის მთაზე გადასახლდნენ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა ულუმბოზე ქართული მონასტრის დამაარსებელნი, ღირსნი მამანი, მიქაელი და არსენი.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ასეც ხდება

# ურწმუნო პასტორები

**ჰოლანდია, როგორც ცნობილია, ეპატაჟის მსოფლიო ცენტრია. ამას წინათ ეს დაადასტურა კიდევ ერთმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, ნიდერლანდელ პასტორებს შორის რომ მოეწყო. აღმოჩნდა, რომ მათ შორის ყოველ მეექვსეს „ღმერთი არ სწამს ან არ სჯერა მისი არსებობისა“.**

ნიდერლანდებში პროტესტანტული ეკლესიის სინოდის თავმჯდომარემ იან-გერდ ჰეტდერკსმა მორწმუნეთ მოუწოდა, შემწყნარებლურად მოეკიდონ მოძღვრის ასეთ შეხედულებებს, რომ „ღმერთთან ურთიერთდამოკიდებულება არ შეიძლება, გამოიხატოს არითმეტიკულად, როგორც არ შეიძლება მოსიყვარულე ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების დაყვანა ფორმულამდე, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ ადგილობრივ საეკლესიო საბჭოებს მაინც ძალზე წაადგებოდა რწმენის საკითხებზე „ურწმუნო“ პასტორებთან გასაუბრება, — განაცხადა სინოდის თავკაცმა.

# დიპლომი საიქიოსთვის?

**ზოგ-ზოგმა, შესაძლოა, ასე იფიქროს, როდესაც გაიგებს, რომ კანზასის შტატის (აშშ) 95 წლის მცხოვრები ქალბატონი ნოლა ოქსი 12 მაისს პლანეტაზე ყველაზე უხუცესი კოლეჯდამთავრებელი გახდა.**



— გადავწყვიტე, სწავლა გამეგრძელებინა 1972 წელს; ქმარი რომ გარდამეცვალა, რომელთანაც 39 წელი ვიცხოვრე, — გადმოგვცემს ქალბატონი ნოლა, — ბოლო 25 წლის მანძილზე კოლეჯის პროგრამით სხვადასხვა კურსებსა და ფაკულტეტებს გავდიოდი. დიპლომის წინ კი 30-საათიანი ბოლო კურსები დავამთავრე.

ამ შემთხვევას განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევს ის ფაქტი, რომ ნოლასთან ერთად კოლეჯის დიპლომი მიიღო მისმა 21 წლის შვილიშვილმა ალექსანდრა ოსკმა. დიპლომის გადაცემის შემდეგ მხცოვანმა სტუდენტმა, რომელსაც ოთხი ვაჟიშვილი, 13 შვილიშვილი და 15 შვილთაშვილი ჰყავს, განაცხადა, რომ კიდევ რამდენიმე კურსის გავლას აპირებს ადგილობრივ კოლეჯში.

## ინფორმაცია

# პატიმრები ბადრაგს უჩივიან

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №2 საპყრობილის პატიმრები ცუდ პირობებსა და ბადრაგის მხრიდან უხეშ დამოკიდებულებაზე ჩივიან.**

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან.

ორგანიზაციის განმარტებით, მათ პატიმართა ახლობლები დაუკავშირდნენ და ქუთაისის ციხეში არსებულ მძიმე პირობებზე უამბეს.

— ის, რაც ქუთაისის ციხეში ხდება, აუტანელია. პატიმრებს ისე ექცევიან, თითქოს ადამიანები არ იყვნენ. თვითონ დაშინებული არიან და ამის შესახებ ხმამაღლა არ ან ვერ აცხადებენ. მე დედა ვარ და გული მტკივა. თან შიში მაქვს, ეს ყველაფერი უბედურებით არ დასრულდეს, — განუცხადა ორგანიზაციას ერთ-ერთი პატიმრის ახლობელმა.

ორგანიზაციის განმარტებით, იმ ფაქტს, რომ პატიმრების მხრიდან პრეტენზიებია, არც საპყრობილის მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარე მანანა მანაგაძე უარყოფს. თუმცა, მისი თქმით, აღნიშნული საკითხის მოგვარება გაძნელდება, თუ პატიმრები ამაზე პირდაპირ არ იტყვიან და პრეტენზიებს კონკრეტული ფაქტებით არ დაადასტურებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## მადლობა!

**მემედ დილბერს — ტურისტულ ფირმა „მაჰმუდოღლის“ პრეზიდენტს და შოთა ხარიტონაშვილს ამავე ფირმის წარმომადგენელს მადლობა, ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღების გამო.**

ჩვენო კარგო მეგობრებო, შემდეგ წარმატებას გისურვებთ საქმიანობაში, რომელიც ჩვენს სასიკეთოდაა მიმართული.

**ნინო გელოვანი,**
**მანანა შველიძე**

## დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 11 მაისის №89-ში გამოქვეყნებულ საკონკურსო პირობებში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში, გორის ქ. №34-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (საწყობები), მათზე დამაგრებულ მიწასთან ერთად (შემდგომში „საიჯარო ქონება“) კონკურსის ფორმით იჯარით გაცემის მიზნით, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

„ბე“ — 35 000 ლარი.

## ანეკდოტები

— **მითხარი**, ვინ ხარ, და გეტყვი, ვინ არის შენი მეგობარი!

— მე მილიონერი ვარ!

— მე კი — შენი მეგობარი!

* * *



**თუ** გსურს, სამშობლო გაყიდო, იგი ჯერ უნდა იყიდო.

* * *

**გაჩხინკული** ინტელიგენტი სახლში ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა და ცოლს საწოლში საყვარელთან ერთად წაასწრო.

საყვარელი საწოლიდან წამოდგა — ორი მეტრი სიმაღლისა და მეტრნახევარი სიგანის ბეჭების მქონე გოლიათი.

— კიდევ კარგი, რომ ასეთი დიდი ხართ, — ამბობს ინტელიგენტი და ჩანთიდან პისტოლეტს იღებს, — თორემ სათვალე სამსახურში დამრჩა.

* * *

**ავადმყოფი** ექიმს ემშვიდობება:

— გმადლობთ, ექიმო, რომ განმკურნეთ განდიდების მანიისგან! თუ გსურთ, დიდ ბრიტანეთს გაჩუქებთ!

## კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.

შპს „თანადგომა -1“ ძიზიძის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.